ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

პარასკევი, 9 სექტემბერი, 2016 №214 (7140) ფასი: 50 თეთრი

მევენახეთა ნაწილი რქაწითელის ფასით უკმაყოფილოა

გვ.5

9 სექტემბრიდან

ლევან ბრეგაძე

ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

პარტიებმა სიები წარმოადგინეს

გვ.2

ივანიშვილი: „სააკაშვილს რევოლუციის მოწყობა არ შეუძლია“

გვ.3

„უსუფაშვილი კვირიკაშვილს არაკაცურად მოექცა“

არასამთავრობოები ივანიშვილის მედიასთან შეხვედრების ფორმატის შესწავლას ითხოვენ

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“



გვ.5

გვ.6

მამუკა არეშიძე: „ნაციონალები დესტაბილიზაციისთვის ემზადებიან“

აფხაზეთის ოპოზიცია მთავრობაში საქმიანობაზე უარს ამბობს

გვ.6

ანექსირებულ რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

გვ.2

ნიკა გვარამია: „დაიცავით ის 3 მოსამართლე, რომლებიც ჩვენს საქმეს განიხილავენ“

ნათელაშვილისა და შატბერაშვილის მომხრეებმა ბაზალეთზე იჩხუბეს

გვ.5

ვახტანგ მაისაია: „ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ საკუთარ სასამართლოზე ექსპერტად გამოვდიოდი“

ISSN 1987-9385

„მარგველაშვილს შეუძლია, ძალოვან სტრუქტურებს ჯალათების დასჯა მოსთხოვოს“

გვ.4

მიხეილ ჯანელიძე: „ჩვენ არავის ვეხვეწებით“

გვ.4

ენგურჰესი მუშაობას შეწყვეტს

გვ.6

პარტიებმა სიები წარმოადგინეს

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ცესკოსთან რიგი დადგა. პარტიებმა საარჩევნო ორგანოს საარჩევნო სიები წარუდგინეს. პოლიტიკურმა სუბიექტებმა გუშინ, 8 სექტემბერს, ძირითადად სიის პირველი ათეულები გაამზეურეს. დანარჩენებს ამ დღეებში გამოაჩენენ.

ყველაზე გასაიდუმლოებული იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია. თავიდან ამბობდნენ, რომ სია 8 აგვისტოსთვის იქნებოდა მზად, მაგრამ სიას მხოლოდ 8 სექტემბერს აღირსეს დღის სინათლე.

მანამდე მხოლოდ ის თქვეს, რომ სიაში გამსვლელ ადგილებზე ის ხალხი არ მოხვდებოდა, რომლებიც მაჟორიტარებად არიან წარდგენილი.

სიის პირველ ნომრად გიორგი კვირიკაშვილი დაასახელეს. მეორე ნომერი კახა კალაძეა, რომელმაც სიის წარდგენის შემდეგ თანამდებობა დატოვა. მესამე პოზიციაზე გაამწესეს პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე.

მათ შემდეგ სიაში უკვე ახალი სახეები ჩაწერეს. აი, ასე გამოიყურება სიის ეს ფრაგმენტი: 4. თამარ ჩუგოშვილი; 5. გიორგი გახარია; 6. აკაკი ზოიძე; 7. თამუნა ხულორდავა; 8. რომან კაკულია; 9. სოფო ქაცარავა და 10. ირინა ფრუიძე.

პარტიებიდან ყველაზე ადრე საარჩევნო სია ნაციონალურმა მოძრაობამ დააკომპლექტა. სიის დაკომპლექტებას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. როგორც ამბობენ, დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ პარტია იმიტომ დატოვა, რომ სიის ათეულში არ მოხვდა.

სიის ათეულში უნდოდათ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის ჩასმა. ამ თემაზე მასთან მოლაპარაკებებიც გამართეს, მაგრამ ლარის ყოფილმა მთავარმა დარაჯმა უარი განაცხადა.

ნაციონალებს ჯერ კიდევ ივლისში ჰქონდათ მზად სია. ამ პერიოდში სიაში ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ სანდრა რულოვსი ჩაწერეს სიის მეორე ნომრად.

ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. დავით ბაქრაძე; 2. სანდრა რულოვსი; 3. ელენე ხოშტარია; 4. რომან გოცირიძე;

5. ნიკა მელია; 6. გიორგი ტუღუში; 7. ოთარ კახიძე; 8. სალომე სამადაშვილი; 9. ირაკლი აბესაძე და 10. სერგო რატიანი.

სიაზე მუშაობა თავისუფალ დემოკრატებსაც გაუჭიანურდათ. ისინი სიის სრულ შემადგენლობას დღეს, 9 სექტემბერს, წარმოადგენენ. მათი განმარტებით, სია 200-კაციანი იქნება.

სიის ფორმირების პროცესში ისინიც რამდენჯერმე გაეხვივნენ სკანდალში. რამდენიმე წევრმა პარტია დატოვა. ერთ-ერთი მათგანი გორის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ირაკლი ალასანიამ მისთვის უცხო რაიონში მაჟორიტარად კენჭისყრა.

თავისუფალი დემოკრატების სიის პირველი ათეული საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება და იქ 3 ყოფილი მინისტრია თავმოყრილი.

სიას სათავეში პარტიის ლიდერი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია უდგას. მეორე ნომერია ვიქტორ დოლიძე, მესამე ნომრად ნინო გოგუაძეა გამწესებული. მის შემდეგ პოზიციაზეა ზურაბ აბაშიძე.

მას ირაკლი ჩიქოვანი, შალვა შავგულიძე და თამარ კეკენაძე მოჰყვებიან. ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი სიაში მერვე ადგილზეა. მეცხრე პოზიციაზეა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე. ათეულის ბოლოს არის პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გია ცაგარეიშვილი.

შთამბეჭდავია რესპუბლიკელების სიის პირველი ათეულიც. აქ პარლამენტის სპიკერი და ერთი ყოფილი მინისტრი მოხვდნენ. გიგლა აგულაშვილს პარტია რომ არ დაეტოვებინა, სავარაუდოდ, ისიც ამ ათეულში იქნებოდა.

რესპუბლიკელების საარჩევნო სიას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უდგას სათავეში, მისი თანამეცხედრე კი სიაში მეოთხეა:

1. დავით უსუფაშვილი; 2. ხათუნა სამნიძე; 3. ლევან ბერძენიშვილი; 4. თინათინ ხიდაშელი; 5. ვახტანგ ხმალაძე; 6. თამარ კორძაია; 7. დავით ზურაბიშვილი; 8. თამარ ხიდაშელი; 9. ნოდარ ებანოიძე და 10. ფრიდონ საყვარელიძე.

საარჩევნო სია ვერც დემოკრატიულმა მოძრაობამ დააკომპლექტა სკანდალების გარეშე. სიის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე პარტია სამმა ლიდერმა დატოვა. სამივე მათგანი თბილისის საკრებულოს წევრია. როგორც ამბობენ, თამარ ცინცაბაძემ, შალვა ოგბაიძემ და ზაზა ვეკუამ პარტია სიაში ვერმოხვედრის გამო დატოვეს. მეორე ვერსიით კი მათ პარტიის ახირება – უბლოკო სტატუსი – არ ეპიტნავათ.

დანაკარგების მიუხედავად, პარტიის საარჩევნო სია უფერულად არ გამოიყურება. იქ არიან პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი გუბერნატორი, ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი და ყოფილი სახალხო დამცველი. სიაში პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ვაჟიც მოხვდა.

დემოკრატიული მოძრაობის საარჩევნო სია ასე გამოიყურება: 1. ნინო ბურჯანაძე; 2. დიმიტრი ლორთქიფანიძე; 3. გიგლა ბარამიძე; 4. ანზორ ბიწაძე; 5. გიორგი ახვლედიანი; 6. ნანა დევდარიანი; 7. ოთარ თავართქილაძე; 8. ბესო დანელია; 9. მანანა სალუქვაძე და 10. ისაკო ცქიფურიშვილი.

საარჩევნო ბლოკის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“ სიის პირველი ათეულიც არ გამოიყურება ურიგოდ. ერთი ყოფილი მინისტრი და ყოფილი გუბერნატორი აქაც გამოერიათ.

სიის ათეული ასე გამოიყურება: 1. ირმა ინაშვილი; 2 ადა მარშანია; 3. ნატო ჩხეიძე; 4. გიორგი ლომია; 5. გელა მიქაძე; 6. ემზარ კვიციანი; 7. გოჩა თევდორაძე; 8. ვაჟა ოთარაშვილი; 9. ფრიდონ ინჯია და 10. კახა კუკავა.

ყველაზე მეტი სკანდალი პაატა ბურჭულაძესა და მის გარშემო გაერთიანებულ პარტიებს შეხვდათ.

მსოფლიო ბანის საარჩევნო სიის პირველი ათეული ყველაზე უცნაური აღმოჩნდა. სხვებმა თუ 10 კაცი გამოამზეურეს, ამათ 12 წარუდგინეს ერს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ 12 პერსონიდან ქალი არცერთი არ არის.

სიის პირველი თორმეტეული ასე გამოიყურება: 1. პაატა ბურჭულაძე; 2. გიორგი ვაშაძე; 3. დავით ჯანდიერი; 4. ვახტანგ მეგრელიშვილი; 5. ირაკლი ყიფიანი; 6. იაგო ხვიჩია; 7. დავით კიზირია; 8. გიორგი მელაძე; 9. მერაბ ტყეშელაშვილი; 10. მამუკა კაციტაძე; 11. გიორგი პაპავა და 12. ზურაბ ჯაფარიძე.

* * *

ცესკოს პრესსპიკერ ანა მიქელაძის განცხადებით, 29 საარჩევნო სუბიექტიდან 28-მ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ წარუდგენია.

– ცესკოს სათანადო სამსახურმა უკვე დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური 10 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნებამდე არაუგვიანეს 26-ე დღისა, შესაბამის დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან იქნება პარტიული სია რეგისტრაციაში გატარებული, ან, იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზები იქნება აღმოჩენილი, სია დაუბრუნდება საარჩევნო სუბიექტს. გამოსწორებისთვის მას სამი დღე ექნება, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონულ სამმართველოში ორმა მოქალაქემ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სულ ჩაბარებულია: მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. აბრეზი, ტყვიამფრქვევის 3 ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 15 ვაზნა.

აღნიშნული მოქალაქეები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდებიან.

ინტერპრესნიუსი

ნიკა გვარამია: „დაიცავით ის 3 მოსამართლე, რომლებიც ჩვენს საქმეს განიხილავენ“

გუშინ, 8 სექტემბერს, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა.

მან ტელეკომპანიის საქმის განმხილველ მოსამართლეებზე ზეწოლის შესახებ ისაუბრა და აღნიშნულ პროცესებში ხელისუფლება დაადანაშაულა.

– მე მინდა, გამოვააშკარაო ის ადამიანი, რომელიც სასამართლოს ანგრევს შიგნიდან და ასრულებს ხელისუფლების უმძიმეს დაკვეთებს. მოგეხსენებათ, მეორე ინსტანციაში ეს იყო ვალერი ცერცვაძე, შეარჩია სამი ლოიალური მოსამართლე, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ და ეს დაკვეთა სახელმწიფოს მან შეუსრულა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, უზენაეს სასამართლოში ხელისუფლების წარმომადგენელია მიხეილ ჩინჩალაძე, რომელიც არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო ასევე სახელმწიფოს წარმომადგენელი.

– ბატონი ცერცვაძე და ბატონი ჩინჩალაძე ხელისუფლებას წარმოადგენდნენ მაშინაც. სამწუხაროდ, სასამართლო მაშინდელი ხელისუფლებისგან არ იყო დამოუკიდებელი. დღეს ისინი სრული მოცულობით პორტირებულნი არიან „ოცნების“ ხელისუფლებაში და ახორციელებენ კიდევ უფრო საშინელ საქმიანობას, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა, – აღნიშნა გვარამიამ.

მისი თქმით, მიხეილ ჩინჩალაძე არ აძლევს შესაძლებლობას საქმის განმხილველ კოლეგიას, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს.

– იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც კანონსა და კონსტიტუციას შეესაბამება, მაგრამ არ შეესაბამება სახელმწიფოს, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებსა და ბატონი ჩინჩალაძის ინტერესებს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის განცხადებით, ჩინჩალაძე ხელისუფლებასთან ივანე ზარდიაშვილის მეშვეობით კონტაქტობს, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ჩასმულია კონტროლის პალატაში და ამ ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებს წარმოადგენს.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ივანე ზარდიაშვილი არის „ოცნების“ საარჩევნო სიაში. შეიძლება ვცდები, მაგრამ ამის გადამოწმება შეიძლება. ბატონი ზარდიაშვილი არის ჩინჩალაძის მეჯვარე. იგი მთლიანად არის ჩასმული კონტროლის პალატაში და „ოცნების“ პოლიტიკურ ინტერესებს რომ წარმოადგენს, ეს ისედაც ცნობილია, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი ინფორმაციით, ჩინჩალაძის მეუღლე მარიკა მარიკაშვილი არის ზარდიაშვილის თანამშრომელი, მან წაიყვანა იქ და იღებს 2.500 ლარს იმისთვის, რომ არ დადის სამსახურში, არავის იქ არ უნახავს და ხელფასს იღებს რეგულარულად.

– ეს ოჯახი თავისი ბიზნესებით მთლიანად არის შეზრდილი ხელისუფლებასთან, აკავშირებს მასთან ფინანსური ინტერესები, რასაც აუცილებლად გამოვიკვლევთ. ბატონ ჩინჩალაძეს ვპირდები, რომ ის აუცილებლად აღმოჩნდება ციხეში კორუფციისა და სასამართლოზე ზეწოლისთვის, – აღნიშნა გვარამიამ.

მან მოსამართლეებსაც მიმართა.

– მოვუწოდებ იმ მოსამართლეებს, რომლებიც ჯერჯერობით კეთილსინდისიერად უმკლავდებიან ზეწოლას, ქალბატონ ეკატერინე გასიტაშვილს, ბატონ პაატა ქათამაძესა და ბატონ ბესარიონ ალავიძეს, ჩინჩალაძეები მიდიან და მოდიან, თქვენ რჩებით, თქვენ უნდა განახორციელოთ მართლმსაჯულება და ნუ დაიღუპავთ თავს იმისთვის, რომ სხვამ თქვენი გადაწყვეტილებით ფული გააკეთოს, – განაცხადა გვარამიამ.

მისი აზრით, ეს არის საქმე-ტესტი.

– თუ თქვენ გაივლით ამ ტესტს, გადაარჩენთ სასამართლო ხელისუფლებას, თავისუფალ მედიას, დემოკრატიის მომავალს და გადაარჩენთ და ლეგიტიმაციას შესძენთ არჩევნებს, რომელიც გვიახლოვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ იქნებით პასუხისმგებლები პირველ რიგში. ისტორიას არ რჩებიან დამკვეთები და ჩინჩალაძეები, ასეთები ციხეებში რჩებიან, ისტორიას კი რჩებიან ისინი, ვინც გადაწყვეტილებებს აწერენ ხელს. ნუ შეხვალთ ისტორიაში შავ ფურცლად, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან არასამთავრობოებს, დიპლომატიურ კორპუსს, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, დაიცვან ის სამი მოსამართლე, რომლებიც რუსთავი 2-ის საქმეს განიხილავენ.

ნიუპოსტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ივანიშვილი: „სააკაშვილს რევოლუციის მოწყობა არ შეუძლია“

„უსუფაშვილი კვირიკაშვილს არაკაცურად მოექცა“

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილმა უკვე მეორედ განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოში დაბრუნდება. მის განცხადებებს დიდი გულისყურით ადევნებს თვალს ბიძინა ივანიშვილიც, რომელიც დარწმუნებით აცხადებს, რომ სააკაშვილს რევოლუციის მოწყობის რესურსი არ აქვს.

რეგიონულ მედიასთან შეხვედრასთან ივანიშვილმა არანორმალურ მოვლენად მიიჩნია არჩევნებში ექსპრეზიდენტის მეუღლის მონაწილეობა.

– პრეზიდენტი დევნაშია და ის ხელმძღვანელობს რეალურად შტაბს. ეს ნორმალურია? ოთხ საქმეზე აქვს ბრალი წაყენებული, დევნაშია პრეზიდენტი და დღეს ლამის ლიდერად გამოიყვანეს წინა პლანზე.

ნორმალურია, როცა მისი მეუღლე ამბობს, რომ თვალებში ჩახედა? ეს ნორმალურია, რომ არ ჩამოდის, საკუთარ სახელმწიფოს პატივს არ სცემს და პროკურატურის კითხვებს პასუხს არ სცემს?

ისევ რევოლუციით რომ იმუქრება და ამის თავი არ აქვს ამ საცოდავს, ამის რესურსი არ გააჩნია და ისევ რევოლუციით გვაშინებს, ნორმალურია? არანორმალურია. რა ვქნათ, ნელ-ნელა უნდა გადავალაგოთ, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ექსპრეზიდენტის გარდა, ექსპრემიერს მოქმედი პრეზიდენტიც შემოეკრიტიკა. უფრო მეტიც, გიორგი მარგველაშვილს ის თავის მთავარ შეცდომად მიიჩნევს.

– მარგველაშვილს მე ვთვლი ჩემს ყველაზე დიდ შეცდომად, მაგრამ ბოდიშიც მოვიხადე საზოგადოებაში. არ მინახავს ჯერ, ამ ასაკის კაცი დიამეტრულად იცვლიდეს ხასიათს, თინეიჯერის დონეზეა. საკუთარ თავთან გარკვევაშია ეს კაცი დღემდე და ეს პრობლემა, ალბათ, ვერ გავითვალისწინე.

ოდესღაც გამოაცხადა, ივანიშვილთან ვარ დაპირისპირებაში და იმიტომ შევედი ამ სასახლეშიო. არავითარ შემთხვევაში, ჩემთან არა, ის საკუთარ თავთან არის დაპირისპირებაში და მოვიდა თუ არა, იყო ერთი ტიპის მარგველაშვილი და დიამეტრულად საპირისპირო გახდა. მე ასეთი სხვა შემთხვევა არ მინახავს ასეთ ასაკში, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მარგველაშვილის მსგავსად, წლების წინ ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილსაც ხშირად აქებდა. ახლა მასზეც შეიცვალა აზრი და აღარც რესპუბლიკელები მოსწონს ისე ძალიან, ამბობს, რომ ეს პარტია ცუდი პარტნიორი იყო.

მთავრობის ყოფილი მეთაურის თქმით, კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის ყოფნის დროს მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ისინი საკუთარ გამოცდილებასა და იურიდიულ ცოდნას კოალიციის განვითარებას მოახმარდნენ.

– საუბედუროდ, მოხდა საპირისპირო. მათ ვერ მოახერხეს კოალიციაში ამ თვისებების დანერგვა. მეტიც, ისინი ცუდი პარტნიორები იყვნენ 4 წლის განმავლობაში. ძალიან ხშირად ძალიან ბევრ თემაში რაც იყო პრინციპული, ბევრი პროექტი პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ, ისინი, როგორც წესი, ოპოზიციის როლში გვევლინებოდნენ, – განაცხადა ივანიშვილმა.

მან გაიხსენა, რომ როდესაც უსაფრთხოების სამსახური პოლიციას გამოეყო, ხმალაძე და უსუფაშვილი, რომლებიც ძალიან კარგი იურისტები არიან, დღეში ორ-ორ ახალ კანონს იგონებდნენ.

– და აქ ამ საკითხისადმი მათი მხრიდან ისეთი დამოკიდებულება იგრძნობოდა, როგორიც ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას, რომ როგორმე დაესუსტებინათ პოლიცია და უსაფრთხოების სამსახური. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მათმა ცოდნამ და მათმა განათლებამ იურისპრუდენციის საკითხში, რომ ისინი, რეალურად ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებულნი, მხარს არ უჭერდნენ. იკვეთებოდა დიდი ეჭვი, რომ მათი როლი ნაციონალურ მოძრაობასთან თანხვედრაში მოდიოდა. ამას ვგულისხმობ, რომ მათი ცოდნა პოზიტივში არ წაადგა არც ოპოზიციას და არც სახელმწიფოს, – განაცხადა ივანიშვილმა.

„საქართველოდან წასვლას არ ვაპირებ“

მან ყოფილი პარტნიორების სამხილებლად კიდევ ერთი მაგალითი გაიხსენა. ივანიშვილმა რესპუბლიკელები და დავით უსუფაშვილი მარგველაშვილის გადაწყვეტილების „გაპრავებაში“ დაადანაშაულა.

– როდესაც მარგველაშვილი საკაშვილის სასახლეში შევიდა, მე სანამ ტელევიზიით გამოვიდოდი, უსუფაშვილთან მქონდა შეხვედრა და მას არგუმენტიც კი არ დარჩა, რომ გარდა კრიტიკისა, არაფრით არ შეიძლებოდა ამის ასე გაშვება. უნდა გვეთქვა ის, რაც სწორია, რომ ის კაცი პრაქტიკულად ამ სასახლეში უკანონოდ შევიდა და იყენებს 6-ჯერ მეტ სასახლეს, რაც არ სჭირდება და წელიწადში დაახლოებით 10 მილიონ ლარს ხარჯავს დამატებით მოსახლეობის ფულს. ეს ყველაფერი უსუფაშვილმა საჯაროდ „გააპრავა“, იმიტომ, რომ ის ეძებდა დამატებით რესურსს როგორმე მარგველაშვილის სახით. როგორი რესურსი მიიღო, კი ვნახეთ, – აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

ის უსუფაშვილს კვირიკაშვილთან არაკაცურად მოქცევაშიც ადანაშაულებს. ივანიშვილის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარეს სთავაზობდნენ, პარტიიდან გამოსულიყო და დამოუკიდებელი დეპუტატი ყოფილიყო.

– დავით უსუფაშვილს სთავაზობდნენ და ეს ჩემი იდეა იყო. თინა ხიდაშელისთვის არავის შეუთავაზებია. ამ თემებზე ბევრი გვაქვს ნასაუბრები. შევთავაზე და ვუთხარი, იქნებ დამოუკიდებლად გამოხვიდე და რესურსი პოზიტიურად მოახმარო სახელმწიფოს, მეტი როლი ითამაშო მეთქი სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

კიდევ კარგი, არ გამოვიდა, რადგან მან საკუთარი ქმედებით საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ის სწორედ ამ პარტიის წევრი უნდა იყოს და მას არ აქვს მეტი რესურსი. მან საკუთარი ქმედებითა და საკუთარი გამონათქვამებით საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ის სწორად არის რესპუბლიკური პარტიის წევრი და დარჩა იქ, სადაც უნდა დარჩენილიყო. მას არ აქვს ის ჭარბი რესურსი, რაც მე მეგონა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, გიორგი კვირიკაშვილი დავით უსუფაშვილს ესაუბრებოდა გარკვეულ თემებსა და თანამშრომლობაზე, უსუფაშვილმა კი ეს ყველაფერი საჯაროდ გამოაცხადა.

– კვირიკაშვილი გაოცებული იყო, კაცს ესაუბრებოდა თემებზე და თანამშრომლობაზე, ეს კი გამოვიდა და საჯაროდ გამოაცხადა. ეს რამდენად კაცური იყო, თვითონ თარგმნოს. ამით ეგონა, რომ ვინმე დაგაგაზარალა. მას ჰქონდა უარგუმენტო კრიტიკა კვირიკაშვილის მიმართ. აბსოლუტურად უარგუმენტოდ შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა, რომ არაფერს წარმოადგენს, არაფერი იცის ამ კაცმა და მე კონკურენტად გამომაცხადა. ღმერთმა დამიფაროს, რანაირად უნდა ვიყო მისი კონკურენტი. მე არავის კონკურენტი არ ვარ, – ამბობს ექსპრემიერი.

ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილი საქართველოდან გაქცევას აპირებს.

– ძალიან ოცნებობენ ჩემს წასვლაზე. რასაც წასვლას ეძახიან, ისეთი წასვლა არ შედგება. მე პოლიტიკიდან წავედი. წავედი გახსნილად და გამოვაცხადე კიდეც ეს. მე ვარ ჩვენი ქვეყნის მოქალაქე და არ ვაპირებ ქვეყნიდან წასვლას. ამაზე ოცნებობენ, რომ მე წავიდე ქვეყნიდან და გააგრძელონ ძველი ტაშ-ფანდურა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

ბიძინა ივანიშვილის გუშინდელ განცხადებას რესპუბლიკელების შესახებ გუშინვე გამოეხმაურა რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი.

– თუ პრეზიდენტის კრიტიკა სასარგებლო საქმედ ითვლება, „ოცნების“ იდეების კრიტიკა რატომ არის ანტისახელმწიფოებრივი?! – განაცხადა ხიდაშელმა ინტერპრესნიუსთან საუბრისას.

მან მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს გულწრფელობისთვის.

– იმედი მაქვს, ამის შემდეგ მაინც დასრულდება ქილიკი თემაზე. ასე ვიყავით 4 წელი. ვფიქრობ, დღეს მაინც ნათელია, რომ არცერთი დღე ჩვენი პრინციპებისთვის არ გვიღალატია და დიახ, არა მხოლოდ წინააღმდეგობას ვწევდით, არამედ ალტერნატივა, სწორი ხედვა მზად გვქონდა კანონპროექტის სახით პრობლემის მოსაგვარებლად და დასარეგულირებლად, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

მისი აზრით, იმდენი ურთიერთგამომრიცხავი რამ არის ივანიშვილის ერთ განცხადებაში, რომ რთულია, რამე ითქვას.

– ნაცმოძრაობაზე, „პატრიოტებზე“, 2012-ში ქვის მსროლელებზე ტკბილი საუბარი და ჩვენზე ისრის გადმოტანა, უბრალოდ, ძალიან არადამაჯერებელია და ნებისმიერი გონიერი ადამიანი თავად მიხვდება ამას, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

არასამთავრობოები ივანიშვილის მედიასთან შეხვედრების ფორმატის შესწავლას ითხოვენ

ივანიშვილი: „თუ რამე დავარღვიე, ჯარიმას გადავიხდი“

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ტელეკომპანია ჯიდიესზე ბიძინა ივანიშვილის მედიასთან შეხვედრების გადაცემათა ციკლის შესწავლას სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან ითხოვს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ტელეკომპანია ჯიდიესზე პირველი სექტემბრიდან დაიწყო გადაცემათა ციკლი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ეთერში ხვდება ქვეყნის ათივე რეგიონის ადგილობრივ ჟურნალისტებს. გადაცემა წინასაარჩევნოდ ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს გავა ეთერში.

– გადაცემის ფორმატი ანონსიდანვე გულისხმობდა მმართველი პარტიის სასარგებლო აგიტაციას. ვიდეორგოლიდან ჩანს, რომ გადაცემების ციკლში ბიძინა ივანიშვილი სხვა საკითხებთან ერთად ისაუბრებს, თუ რატომ არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა. ანონსის ვიდეოში დემონსტრირებულია „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერი და სიმბოლიკა. გადაცემის ფორმატიდან და შინაარსიდან ცხადად იკვეთება, რომ გადაცემის მთავარი მიზანი მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციაა და თავისი არსით, ფაქტობრივად, არ განსხვავდება წინასაარჩევნო რეკლამისაგან, – ნათქვამია განცხადებაში.

თუ გადაცემა ფორმალურადაც სარეკლამო სტატუსის მატარებელი იქნებოდა, მას უნდა დაეკმაყოფილებინა საარჩევნო კოდექსის 50-ე და 51-ე მუხლით განსაზღვრული წინასაარჩევნო რეკლამის რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც, რეკლამა შეიძლება იყოს ფასიანი ან უფასო, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ქრონომეტრაჟი, მითითებული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია დამკვეთის შესახებ და ა.შ.

– ვინაიდან გადაცემა ოფიციალური წინასაარჩევნო რეკლამის სტატუსით არ გადის, ეს ქმედება შესაძლოა წარმოადგენდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით მიღებულ მომსახურებას, რაც, იმავე ნორმის თანახმად, შემოწირულებად ითვლება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თითოეული გადაცემა ტელეკომპანია ჯიდიესის მხრიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლო განხორციელებულ შემოწირულებად უნდა ჩაითვალოს, – აღნიშნულია განცხადებაში.

არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული სატელევიზიო ფორმატი წინასაარჩევნო პერიოდში უგულებელყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ რამდენიმე პრინციპს.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მოუწოდებს მაუწყებლებს, საარჩევნო პერიოდში გამიჯნონ სახელმწიფოებრივი და პარტიული ფუნქციების შესრულება, რათა დაიცვან მიუკერძოებლობის, ობიექტურობის პრინციპები და უზრუნველყონ ბალანსი.

– აღნიშნული ფორმატი ბალანსის დაცვას არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შორის, ფაქტობრივად, გამორიცხავს, რადგან გადაცემების ციკლი მთლიანად მმართველ პოლიტიკურ გუნდთან ასოცირებულ პირთან ინტერვიუუბს გულისხმობს, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე საყურადღებოა, რომ გადაცემებში ხშირად გამოითქმის სხვა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ კრიტიკული მოსაზრებები თუ ბრალდებები, ხოლო მათზე რეაგირების ან პასუხის გაცემის საშუალებას იგივე ფორმატი სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს არ აძლევს.

– მივმართავთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, შეისწავლოს ტელეკომპანია ჯიდიესის ზემოაღნიშნული გადაცემათა ციკლი და ჩამოთვლილი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში ამ ქმედებებს მიანიჭოს პოლიტიკური შემოწირულების სტატუსი, ასევე დაიანგარიშოს მომსახურების ღირებულება და დაადგინოს, თუ რამდენად ჯდება იგი იურიდიული პირისგან კანონით დაშვებული შემოწირულების 120.000-ლარიან წლიურ ლიმიტში, – აცხადებენ არასამთავრობოები.

ისინი მიმართავენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შეისწავლოს, თუ რამდენად შეესაბამება ტელეკომპანია ჯიდიესის ქმედება წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობისა და „საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებს, ხოლო დარღვევის არსებობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.

– მოვუწოდებთ აღნიშნულ უწყებებს, დროულად შეისწავლონ განცხადებაში დასმული საკითხი და საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ. ასევე მოვუწოდებთ შესაბამის უწყებებს, აქტიური მონიტორინგი აწარმოონ სხვა მედიასაშუალებებზეც მსგავსი ტიპის დარღვევების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი ზომების მისაღებად, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ: საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

* * *

გუშინ საღამოს ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობოების წერილზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ჯარიმას გადავიხდი, ბოდიშს მოგიხდით. თუ დაირღვა, ჯარიმას გადავიხდი.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

ვახტანგ მაისაია: „ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ საკუთარ სასამართლოზე ექსპერტად გამოვდიოდი“

„მარგველაშვილს შეუძლია, ძალოვან სტრუქტურებს ჯალათების დასჯა მოსთხოვოს“

გულიკო ბალაძე

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით კომისიის შექმნას გეგმავს. ის უკვე შეხვდა პოლიტპატიმრებსა და ექსპერტებს.

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სააკაშვილის პერიოდში საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურში უცოდინარი ადამიანები მუშაობდნენ.

– ბატონო ვახტანგ, როგორც გავიგე, პრეზიდენტთან შეხვედრაზე იმყოფებოდით. რა იყო შეხვედრის მიზეზი?

– პრეზიდენტს პოლიტპატიმრებთან ჰქონდა შეხვედრა. პრეზიდენტის თანაშემწე ივა ჩიღვინაძე იყო პოლიტპატიმარი, თვითონაც რეპრესირებულია და გადაიტანა ტანჯვა-წამება. პოლიტპატიმრების მოსაზრებები მოისმინეს, ისტორიებს გაეცნნენ. ესეც კარგი ტენდენციაა.

– რა ბერკეტი გააჩნია პრეზიდენტს სამართლიანობის აღსადგენად?

– პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

– გავლენის მოხდენა შეუძლია?

– გავლენის – არა. პრეზიდენტის სიტყვა მაინც მნიშვნელოვანია. პრეზიდენტს შეუძლია, პოლიტიკური განცხადება გააკეთოს. უშიშროების საბჭოს მეშვეობით ძალოვანი სტრუქტურების მიმართაც აქვს ბერკეტები. მას შეუძლია მოსთხოვოს ძალოვან სტრუქტურებს ჯალათების დასჯა. პრეზიდენტს შეუძლია, საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს პარლამენტში, რომელიც პოლიტპატიმრების უფლებებს ან ღირსების აღდგენას ხელს შეუწყობს.

– ბოლო დროს პარლამენტმა მიიღო დადგენილება სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულთა შესახებ.

– ამ დადგენილებაში ბევრი რამ გაურკვეველია, მათ შორის ის, თუ როგორ უნდა აღსრულდეს. ამით ჩვენ მივდივართ მანკიერ წრემდე.

– რას გულისხმობთ?

– შეიძლება შეიტანო საჩივარი ახალი გარემოებით, მაგრამ სად უნდა შეიტანო? იმ სასამართლოში, სადაც ჯერ კიდევ არიან ის მოსამართლეები, რომლებსაც გამოჰქონდათ დანაშაულებრივი განაჩენები? ასეთივე მოსამართლეების ხელში იგივე საქმე რომ მოხვდეს, ეჭვი გეპარებათ, რომ იმავე განაჩენს გამოიტანს? მურუსიძემ თავისი პირით აღიარა, ჩემთან იგივე საქმე რომ მოსულიყო, იმავე განაჩენს გამოვიტანდიო. სანამ არ მოხდება სასამართლოს გაწმენდა მურუსიძისნაირი მოსამართლეებისგან, პოლიტიკური ნება თუ არ გამოავლინა ხელისუფლებამ და სასამართლო არ გაწმინდა ჯალათი მოსამართლეებისგან, საქმის სასამართლოში ხელახალ განხილვას აზრი არ აქვს.

– თუ პროკურატურა რეალურად გამოძიებულ საქმეს წარუდგენს, მოსამართლეებს სხვა გზა აღარ ექნებათ და სწორ განაჩენს გამოიტანენ.

– პროკურატურაშიც არიან ჯალათი პროკურორრები. პროკურატურაც არ არის რეფორმირებული. ამიტომ საჭიროა, მექანიზმები შემუშავდეს, თუმცა შეიძლება იდეალური კანონი გამოაცხო, მაგრამ არ გქონდეს მისი აღსრულების ბერკეტები და პოლიტიკური ნება.

– თქვენი დაპატიმრებისა და წამების საქმეში ყველაზე მთავარი რა იყო, რაც არასოდეს დაგავიწყდებათ?

– ყველაზე მთავარი საქმის კურიოზულობა იყო.

– როგორ?

– შეიძლება დაგადანაშაულონ, მაგრამ გააჩნია, რაში დაგადანაშაულებენ. მაგალითად, ტიციან ტაბიძეს არსებული სპეცსამსახურის ჩაშვება დააბრალეს. ტიციან ტაბიძე და საფრანგეთის სპეცსამსახურებთან კავშირი უაზრობა და ანაქრონიზმი იყო, როგორც ჩემი ბრალდება. მე დამადანაშაულეს არარსებული სპეცსამსახურის ჯაშუშობაზე. შეიძლება რაღაც აბსურდი დაგიდონ, იცოდე, რომ აბსურდია, მაგრამ, როცა არარსებული სპეცსამსახურის ჯაშუშობას გაბრალებენ და ამის გამო გწირავენ სიკვდილისთვის, ვერ იგებ, რა არის შენი დანაშაული.

– რა გაგიკვირდათ, როცა სააკაშვილის რეპრესიულ მანქანაში მოხვდით?

– ეს გამიკვირდა. მე ვარ უსაფრთხოების სამხედრო ექსპერტი. 2007 წლიდან ვსაქმიანობ ამ მიმართულებით. ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ საკუთარ სასამართლოზე ექსპერტად გამოვდიოდი.

– როგორ, ეს შესაძლებელია?

– საკუთარ სასამართლოზე მოსამართლის შუამდგომლობითა და გადაწყვეტილებით მე ვიყავი ჩემი თავის სამხედრო ექსპერტი. მოსამართლე ჯერ მომმართავდა, ბრალდებულო მაისაია, ამ საკითხზე გაგვეცი პასუხი, შემდეგ მომმართავდა, როგორც სამხედრო ექსპერტს, ბატონო ვახტანგ, გთხოვთ, ეს სამხედრო ტერმინი განგვიმარტოთო და მე ვაკეთებდი განმარტებას.

– ეგ მართლა კურიოზი ყოფილა. რატომ გახდა საჭირო თქვენი ექსპერტობა თქვენივე სასამართლოზე, სხვა ექსპერტი ვერ მოიწვიეს?

– ჩვენი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა მოსამართლე ესებუამ, დაცვის მხარეს სამხედრო ექსპერტი რომ წარმოედგინა. საქმე ეხებოდა სამხედრო ჯაშუშობას. წესით, თუ მე ჩავიდინე სამხედრო ჯაშუშობა, უნდა შექმნილიყო სამხედრო ტრიბუნალი, რომლის კომპეტენტური სასამართლო სტრუქტურის წარმომადგენლები, კომპეტენტური მოსამართლეები, რომლებიც გაცნობიერებული იქნებოდნენ სამხედრო სფეროში, გამასამართლებდნენ.

პროკურორრი ბერიკაშვილი ტანკსა და ბეტეერს ვერ არჩევდა. ადრე კალათბურთელი იყო და სამხედრო საქმის არაფერი ესმოდა. ჯაშუშობა რა იყო, ისიც არ იცოდა. მივმართე, ბატონო პროკურორრო, დამისახელეთ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები, რომელთაც ევალებათ სადაზვერვო საქმიანობა-მეთქი და პროკურატურას სასწრაფოდ მესიჯი მისწერა, დამეხმარეთო. ისინიც ვერ დაეხმარნენ. მოიხადა ბოდიში, მეჩქარებაო და სასამართლო სხდომა გადაადებინა. მართალია, მოსამართლე შეკვეთას ასრულებდა, მაგრამ შეკვეთას გაფორმება ხომ უნდა. ამიტომ მითხრა, იქნებ თქვენ იყოთ ჩვენი ექსპერტიო და ვაკეთებდი განმარტებას.

– მოსამართლემ თქვენი, როგორც სამხედრო ექსპერტის რჩევები გაითვალისწინა თუ თქვენ წინააღმდეგ გამოიყენა?

– პროკურორრი 26-წლიან სასჯელს ითხოვდა. მოსამართლე ესებუამ, მიუხედავად იმისა, რომ თავზეხელაღებული ბანდიტი იყო, მომისაჯა წამოყენებული მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი. პროკურატურა მაქსიმუმს მოითხოვდა.

– გამომძიებლები როგორ ცოდნას ამჟღავნებდნენ?

– თქვენ ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვთ ჩვენს მაშინდელ სპეცსამსახურებზე, რომლის ნარჩენი დოქსოპულოები დღესაც მუშაობენ.

კონტრდაზვერვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ზუმბაძე, მაშინდელი კონტრდაზვერვის უფროსი მაზმიშვილი (რომელიც ახლა დაპატიმრებულია ბიჭების ჩაცხრილვაზე) და ორჯონიკიძე ვერ ერკვეოდნენ გეოგრაფიაში.

– აბა, რაში ერკვეოდნენ?

– ელემენტარულად, არ იცოდნენ, რომ სერბეთი და სლოვაკეთი ერთი და იგივე არ არის. მიმტკიცებდნენ, რომ ნატომ დაბომბა სლოვაკეთი. პრიმიტივები იყვნენ.

– თქვენ ისეთი გამომძიებლები შეგხვდათ, როგორიც გოგა ხაინდრავას ფილმშია და თქვენც ისე მოგექცნენ?

– დიახ. თუ კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები იყვნენ, ელიტური იყო, მაგრამ სახელმწიფო უშიშროება ებარათ დოქსოპულოებსა და ერთუჯრედიანებს, რომლებსაც ორ ბატს არ ჩააბარებდი, როგორ მოიგერიებდნენ რუსულ აგრესიას! კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი იყო ზუმბაძე და რუსეთის სპეცსამსახურები ვერ ჩამოთვალა.

– იმიტომ არის ძალიან მაღალ დონეზე ჩვენი დაზვერვა.

– ამბობდა, ირანისტი ვარო და ავღანეთის პროვინციები არ იცოდა. ჩემი ანალიზი სირიის შესახებ ბრალდების საქმეში იდო.

– ანუ ანალიტიკური სტატიებისა და ინტერვიუებისთვის დაგაპატიმრეს?

– დიახ. ჩემი საქმე ნაწილობრივ გასაიდუმლოვდა და, როგორც გაირკვა, ჩემი ანალიტიკური წერილის გამო დამაპატიმრეს. მე გავაკეთე ანალიზი და ვამხილე სააკაშვილი, ჩვენი ავიაცია 2008 წლის აგვისტოში როგორ აღმოჩნდა პარალიზებული. ჩემი საქმის მეოთხე ტომში ჩადებულია ჩემი ინტერვიუ, რაზეც დამაპატიმრეს. მე ვამხილე ვანო მერაბიშვილი რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირის გამო. ვამხილე მისი შეხვედრები ბელორუსიის კგბ-ს უფროსთან და მისი კონტაქტები რუსეთის გავლენიანი წრეების წარმომადგენლებთან. ეს არის მტკიცებულებები, რომლებითაც შეიძლება ბრალი წაეყენოს ვანო მერაბიშვილს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და ჯაშუშობაზე.

– ხაინდრავას ფილმი ნახეთ?

– მინდა, უღრმესი მადლობა ვუთხრა გოგა ხაინდრავასა და მის შემოქმედებით ჯგუფს გაწეული დიდი შრომისთვისა და ისტორიული ტიპის ფილმის გადაღებისთვის. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ არ მინახავს ასეთი ოპერატიული კუთხით გადაღებული ფილმი. ქართულ კინემატოგრაფს ვულოცავ ასეთი მაღალი დონის ფილმის გადაღებას.

ძირითადად 5 ეპიზოდია ფილმში დაფიქსირებული. 5 პროტოტიპიდან ცოცხლები დავრჩით მე და ალექსანდრე ახალკაცი. სერგო თეთრაძე, როინ შავაძე და ირემაძე დაღუპულები არიან. ისინი გმირები იყვნენ და სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა დაჯილდოვონ.

– ყველაფრის ხელმეორედ ნახვამ არ დაგთრგუნათ?

– ეს ყველაფერი გადაიტანა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, თანამებრძოლმა ალექსანდრე ახალკაცმა. მან ციხეში განცდილი რეპრესიები და მთელი ტრაგიზმი ასახა იმ რომანში, რომელიც ციხეში დაწერა.

– თქვენ დაასახელეთ ისინი, ვინც გაწამებდნენ, მაგრამ ისინი არ დასჯილან, პირიქით, ზოგი დაწინაურდა კიდეც. თქვენ რით ხსნით, რომ ყველა მათგანს პასუხი არ უგია ჩადენილი დანაშაულისთვის?

– კოაბიტაციით. კოაბიტაცია იყო პოლიტიკური სიბეცე, რომლითაც ქართულ ნაციზმთან მოხდა გარიგება. ეს იყო სახელმწიფოებრივი შერწყმა. ეს იგივეა, პოსტნაცისტური გერმანიის მთავრობებს ნაცისტ დამნაშავეებთან რომ ეთანამშრომლათ.

– გამორიცხავთ, რომ მომავალში ისინი დაისაჯონ?

– ისინი ყველა ვარიანტში დაისჯებიან. ეს არის დროის ფაქტორი. თუ არ დაისჯებიან, უფალი მიუზღავთ სამაგიეროს. დოქსოპულოები იწირებიან ხოლმე გაცილებით მაღალი დონის მიერ. სააკაშვილი ძალიან ადვილად წირავდა თავის დოქსოპულოებს. გავიხსენოთ, როგორ გაწირა ახალაიები და სხვები, როცა განაცხადა, საერთოდ არ ვიცნობო. იგივე ბედი ელით დანარჩენებსაც. დავით და ბაჩო ახალაიები არაფრით განსხვავდებოდნენ ზუმბაძის, ორჯონიკიძის, დათა შვილისა და სხვა ნაძირლებისგან. ნაწილი დოქსოპულოებისა დატოვეს, რომ თავიანთი პირადი ეგოცენტრული მიზნებისთვის გამოიყენონ.

მიხეილ ჯანელიძე: „ჩვენ არავის ვეხვეწებით“

რუსების მიერ მხოლოდ აღმოსავლეთ უკრაინა არაა ოკუპირებული. იმავე სიტუაციაში იმყოფება საქართველოც, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ კავკასიურ სახელმწიფოს კურსი მაინც ნატოსაკენ აქვს აღებული.

გერმანულ გამოცემა „ბილდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მშობლიური ქვეყნის იმედებისა და პრობლემების შესახებ საუბრობს:

– საქართველოს ერთი მეხუთედი ნაწილი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – რუსეთის მიერაა ოკუპირებული. როგორი შთაბეჭდილება გაქვთ. ფიქრობთ, რომ ევროპამ დიდი ხანია დაივიწყა რუსეთის მართლსაწინააღმდეგო აგრესია?

– არა, მე ასეთი შთაბეჭდილება არ მაქვს. ევროპამ კარგად იცის, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს მიეკუთვნება და ასეთად დარჩებიან. ამასთან, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სიტუაციის აქტუალობის შეცვლა საქართველოს სასარგებლოდ მხოლოდ მოლაპარაკებით შეიძლება. ჩვენ მადლობლები ვართ ყველანაირი დახმარებისთვის, მათ შორის გერმანიის მხრიდანაც.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ევროკავშირი საქართველოს თავის წევრად რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებამდე მიიღებს?

– ერთი მეორესთან დაკავშირებული არ არის. ერთი მხრივ, ბოლო წლებში საქართველომ დიდი ძალისხმევა განახორციელა ევროსტანდარტების მისაღწევად როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკის სფეროში. ჩვენ წინ უკვე საკმაოდ შორს წავედით.

მეორე მხრივ, ველოდებით საპასუხო სიგნალს ევროპისგანაც, რომ საქართველოს ევროპაც ელოდება. ეს, მაგალითად, უვიზო რეჟიმის დაწესებასაც უკავშირდება. 8 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა ახალ პარლამენტს აირჩევს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ დროისათვის უკვე გვექნება მკაფიო სიგნალი ევროპისაგან, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის, ბოლოს და ბოლოს, სავიზო რეჟიმი გაუქმებული იქნება.

– ქართველების სურვილს უვიზო რეჟიმის მიღების თაობაზე ევროკავშირის ზოგიერთ წევრსახელმწიფოში, მათ შორის გერმანიაშიც არ მიესალმებიან და სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ. რას აკეთებთ ამ მიმართულებით?

– ჩვენ ამ საკითხში არავის არ ვეხვეწებით, არავის არ ვთხოვთ. უვიზო რეჟიმის დაწესება მკაფიოდაა გათვალისწინებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებაში. ჩვენ უკვე დიდი ხანია შესრულებული გვაქვს ევროკავშირის ყველა მოთხოვნა და პირობა ვიზალიბერალიზების საკითხში, ვცდილობთ მივაღწიოთ სხვა ევროპულ სტანდარტებსაც. მოვიხმობ მხოლოდ ერთ მაგალითს: საერთაშორისო მასშტაბით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა...

– თქვენს ნათქვამზე უსაფრთხოების სფეროს გერმანელი ექსპერტები გეტყოდნენ, რომ კი, რასაკვირველია, საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა, რადგან ქართველი დამნაშავეები თავიანთი შავი საქმეებით უფრო მეტად საზღვარგარეთ არიან დაკავებულნიო. გერმანიის უსაფრთხოების ორგანოების მონაცემებით, უმეტესად სწორედ ქართული ბანდები არიან პასუხისმგებელნი ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც ბინების გაძარცვასა და ქურდობას უკავშირდება.

– ჩვენ მუდმივად გვესმის ასეთი საყვედურები, მაგრამ ეს უსამართლო საყვედურებია. ამასთან, მე მესმის გერმანელების შეშფოთება. ამიტომაც საქართველოს სამართალდამცველ და უშიშროების ორგანოებს გერმანელებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ და, შეიძლება ითქვას, ერთად ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ როგორც გერმანიის სისხლის სამართლის ფედერალურ პოლიციასთან, ასევე ფედერალური მხარეების (მიწების) შესაბამის ორგანოებთან. ერთი რამ ნათელია: ყოველი დანაშაული ყველგან დანაშაულია და ყველა დამნაშავე ყველგან დამნაშავეა.

დამნაშავეობის საკითხი სავიზო რეჟიმის გაუქმებას არ უნდა უკავშირდებოდეს.

ნიუსპრესი

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების ბედი გადაწყვეტილია.

– ბატონო სოსო, ბევრი პარტიის, მათ შორის მმართველი ძალის საპარლამენტო სია ცნობილია. ეს ადამიანები კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოადგებიან პარლამენტს? როგორ კანონებს შექმნიან ისინი?

– საქართველოს პარლამენტის საქმიანობას ეს სია 100%-ით აკმაყოფილებს, ამერიკის კონგრესის საქმიანობას კი – ნული პროცენტით. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს კანონებს ერთი ადამიანი, ჯონი ხეცურიანი წერდა, დანარჩენები ე.წ. კანონმდებლები ხელს სწევდნენ. მგონი, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ღილაკი.

შევარდნაძის დროს კანონებს ორი-სამი კაცი წერდა. სააკაშვილის მმართველობის დროს კი კანონებს ადეიშვილი და „თავისუფლების ინსტიტუტი“ ქმნიდნენ.

ახლა გაუგებარია, ვინ წერს კანონებს, უფრო არსებულ კანონებში შეჰქონდა ამ პარლამენტს შესწორება, უფრო დავარცხნა ხდებოდა არსებული კანონმდებლობის. ვახტანგ ხმალაძე განათლებით ფიზიკოსია, მაგრამ კონსტიტუციონალისტად იქცა. ხმალაძე წერს კანონპროექტებს, მაგრამ კიდევ ვინ, უკვე არ ვიცი.

ახლა წარმოდგენილი მმართველი ძალის სია უცნობთა კრებულია. წინა მოწვევის პარლამენტში თითქმის ყველა სპორტის სახეობა იყო წარმოდგენილი, გარდა ფეხბურთისა. მომავალ პარლამენტში ეს დანაკლისი გამოსწორდება და ფეხბურთელებიც გვეყოლებიან. ოთხი წლის შემდეგ კი ეს ეგზოტიკა კიდევ უფრო გაიზრდება და კალათბურთელებს ვიხილავთ, თანაც მოქმედი ნაკრები კალათბურთისთვის ბერდება. მე არავის საწინააღმდეგო არ მაქვს, პირიქით, სპორტის ყველა ეს სახეობა მიყვარს, მაგრამ აქ საუბარია ქვეყნისთვის კანონების შექმნაზე, იმ კანონების, რომლებითაც ქვეყანამ, სახელმწიფომ უნდა იცხოვროს.

– „ოცნების“ სიის ათეულზე რას იტყვით? მოელოდით ამ შემადგენლობას?

– გასაგებია, რომ სიას სათავეში პრემიერ-მინისტრი უდგას. ასევე გასაგებია კალაძის არსებობა მეორე ნომრად, რომელიც ერთი დღეც არ დაჯდება პარლამენტში, ისევე, როგორც გიორგი კვირიკაშვილი. ისინი არიან ამ სიის გამწევი ძალა, კენჭს იყრიან და შემდეგ თავიანთ თანამდებობებს დაუბრუნდებიან.

– ბიძინა ივანიშვილმა აქტიურად დაიწყო რეგიონებში შეხვედრები და პოლიტიკური განცხადებების გაკეთება. ივანიშვილი ხედავს აუცილებლობას, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში უნდა მიიღოს მონაწილეობა?

– დიახ, ეს არის ერთგვარი ინდიკატორი. რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო გააქტიურდება ივანიშვილი. შიდა მოხმარებისთვის ყველა პარტიას აქვს რეალური სოციოლოგიური კვლევები და ამის მიხედვით ხდება კამპანიის დაგეგმვაც. ბიძინა ივანიშვილის აქტიურად გამოჩენა, განცხადებები სწორედ ერთგვარი ინდიკატორია. თავიდან ის არ იყო ასეთი აქტიური, რადგან დარწმუნებული იყო მმართველი ძალის გამარჯვებაში მისი დახმარების გარეშე.

– დღეს არ არის დარწმუნებული?

– ხედავს, რომ მისი ავტორიტეტია საჭირო და ამას აკეთებს კიდეც. ამ ავტორიტეტს ახმარს მის მიერ შექმნილ პარტიას. რაც დრო გადის, იკვეთება, რომ ადვილად ვერცერთი პარტია ვერ გაიმარჯვებს.

– ვერც „ქართული ოცნება“?

– ვერც „ქართული ოცნება“. ეს ჩანს ყველა სოციოლოგიურ კვლევაში. აქ მთავარი დატვირთვა მოდის გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე. ამიტომ პარტიებს სერიოზული მუშაობა მოუწევთ, მათ შორის მმართველ პარტიასაც. ივანიშვილი დღეს „ქართული ოცნების“ მაშველი რგოლია, გარედან დამხმარე სერიოზული ძალა.

– ივანიშვილის განცხადებები რესპუბლიკელების, დავით უსუფაშვილის, მიმართ რითია განპირობებული? ასევე, ის ყველაზე დიდი შეცდომას უწოდებს მარგველაშვილს.

– ეს განცხადებები განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკელები „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეები არიან. ივანიშვილს უსუფაშვილთან, უფრო მეტად კი მარგველაშვილთან პრეტენზიები აქვს, რადგან თვლის, რომ მარგველაშვილმა მას უღალატა. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, აქ ცოტა სხვაგვარად არის საქმე. მე გამიკვირდა, რომ აქამდე გაძლეს რესპუბლიკელებმა კოალიციაში, რადგან აქ პრინციპულ განსხვავებაზეა საუბარი.

პოლიტიკაში დაუწერელი კანონია – შენგან წასულ მოკავშირეზე არც კარგი თქვა და არც ცუდი. ყველაზე მომგებიანია იგნორირება. მე ივანიშვილის ადგილზე სწორედ ამ მეთოდს მივმართავდი, რომ აღარ არსებობს არც მარგველაშვილი, არც უსუფაშვილი და არც ალასანია.

– 8 ოქტომბრის არჩევნების ბედი გადაწყვეტილია თუ სიურპრიზებია მოსალოდნელი?

– ჩემი პროგნოზით, 8 ოქტომბრის არჩევნების ბედი გადაწყვეტილია, იმიტომ კი არა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველა დაპირება შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიცია გაცილებით სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნება“ არ არის ძლიერი პარტია, ის მაინც გაიმარჯვებს, რადგან ოპოზიცია ძალზე სუსტია ქვეყანაში და ეს არ არის „ოცნების“ ბრალი. ამიტომ არავითარი სიურპრიზი მოსალოდნელი არ არის.

– წინასაარჩევნო ბლოკებს, მაგალითად ბურჭულაძისას, „ქართული ოცნების“ საპირწონედ ვერ განვიხილავთ?

– დღეს ოპოზიცია სუსტია, დაქსაქსულია. ეს არაბუნებრივი ალიანსები თუ ბლოკები, შეუთავსებელთა შეთავსების დილეტანტური ცდები შედეგს ვერ მოიტანს. ამას ემატება საარჩევნო კოდექსი, რომელიც ოპოზიციამ, დიდი ხმაურის მიუხედავად, ვერ შეცვალა. მაჟორიტარული ოლქები ყველა ხელისუფლების მაშველი რგოლია ყველა დროში. „ქართული ოცნება“ ყველაზე დიდ აქტივს სწორედ მაჟორიტარების ხარჯზე მოიპოვებს.

– ანალიტიკოსთა უმრავლესობა ბევრ მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურს პროგნოზირებს.

– მიუხედავად ამისა, მაჟორიტარული არჩევნები ყოველთვის, შევარდნაძის პრეზიდენტობიდან მოყოლებული, სააკაშვილის მმართველობის დროსაც ხელისუფლების სამსახურში იყო. ეს არის რეალობა და ამ რეალობას ვერავინ გაექცევა. კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც ოპოზიციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, არის ის, რომ ადვილად იყიდებიან მათი წარმომადგენლები. სწორედ ამ ფონზე მმართველ პარტიას ალტერნატივა არ ჰყავს.

დღეს 2012 წლის არჩევნებისგან სრულიად განსხვავებული რეალობა გვაქვს. მაშინ ამომრჩევლის 90%-ს პრეტენზია ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან, მმართველ ძალასთან. ამიტომ, როგორც კი დარწმუნდა, რომ გამოჩნდა დიდი ძალა, დიდი ფინანსები, ხალხმა ირწმუნა და ტოტალურად დაამარცხა მმართველი ძალა. დღეს სრულიად განსხვავებული რეალობა გვაქვს და ამიტომ ვაკეთებ ამ პროგნოზს.

ნათელაშვილისა და შატბერაშვილის მომხრეებმა ბაზალეთზე იჩხუბეს

ინციდენტი მემარცხენე ალიანსის დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სოსო შატბერაშვილის სოფელ ბაზალეთში წარდგენისას მოხდა.

პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა ძაგანიამ შატბერაშვილი ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის სოფელში წარადგინა.

დაპირისპირება მემარცხენე ალიანსის იმ განცხადებას მოჰყვა, რომლის მიხედვით, შალვა ნათელაშვილმა ნაციონალური მოძრაობისა და ვანო მერაბიშვილისგან მიღებული ფულით ააშენა სასახლე ბაზალეთში და ის კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობდა.

ნათელაშვილის მომხრეებმა შატბერაშვილსა და მის თანაგუნდელებს მიმართეს:

– რა გინდათ, მითხარით?! 20 წელი შალვასთან იყავით და ახლა გამოდიხართ? მემარცხენე კი არა, საერთოდ არაფერი არ ხართ. ახლა „ოცნება“ მოვიდა და „ოცნებაში“ გადახვედით? ამდენი წელია, მაგის გვერდზე იყავით. წადით ახლა აქედან. სირცხვილით როგორ გამოდიხარ გარეთ.

სოსო შატბერაშვილმა კი საპასუხოდ შალვა ნათელაშვილის ქონებრივი მდგომარეობა დაასახელა.

– მაშინ ქოხი ჰქონდა შალვას. ახლა საიდან ააშენა ეს სასახლე? ჩვენ „ოცნებაში“ არ ვართ, – განაცხადა შატბერაშვილმა.

ინციდენტის შემდეგ მედიასთან საუბარში შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ შალვა ნათელაშვილმა მოპარული ფულებით სასახლე აიშენა.

– აი, აქ ჩემმა მთავარმა კონკურენტმა შალვა ნათელაშვილმა მოპარული ფულებით, ნაციონალებისგან ნაშოვნი ფულებით აიშენა 5-მილიონიანი სასახლე. აშენებულია ნაციონალებისგან მიღებული ფულით. ჩვენი გაყიდვით, ჩვენი თანაგუნდელების გაყიდვით. ის გახლავთ კურდღელი, მშიშარა, ლაჩარი, – განაცხადა შატბერაშვილმა.

ბაზალეთის მცხოვრებ რამაზ ნათელაშვილის თქმით კი მემარცხენე ალიანსის წევრები არიან მოღალატეები.

– აი, ეს სამი თუ ოთხი თაღლითი, რომლებიც დგანან და შალვაზე ლაპარაკობენ, როგორც ბავშვები, ისე გაზარდა ესენი, გააფრთიანა. ვეღარ აჭამა და ახლა გამოდიან. ესენი არიან ყველანი მოღალატეები. მარტო შალვას კი არა, მთელი ქვეყნის მოღალატეები არიან, – განაცხადა რამაზ ნათელაშვილმა.

მედიანიუსი

მევენახეთა ნაწილი რქაწითელის ფასით უკმაყოფილოა



კახეთში „რთველი 2016“ დაახლოებით ორი კვირაა დაიწყო.

წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავლის რაოდენობა 180 ათას ტონას შეადგენს. ამ დროისათვის რეგიონში 9 ათას ტონამდე ყურძენია გადამუშავებული, მევენახეებმა კი ყურძნის რეალიზაციის შედეგად 7,3 მლნ ლარი მიიღეს.

ღვინის კომპანიები საფერავში წელს 80 თეთრს, რქაწითელსა და მწვანეში კი 35 თეთრს გადაიხდიან. ამას დაემატება სახელმწიფოსგან სუბსიდია, კერძოდ საფერავზე 20 თეთრის, რქაწითელსა და მწვანეზე კი 45 თეთრის ოდენობით. შედეგად, მევენახეები 1 კილოგრამ საფერავში – 1 ლარს, რქაწითელსა და მწვანეში კი – 80 თეთრს აიღებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ფასებით მევენახეთა ნაწილი უკმაყოფილოა. პროტესტს ძირითადად რქაწითელის ფასი იწვევს. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს მკვიდრმა ავთო ჭინჭარაულმა უთხრა, გლეხები ელოდნენ, რომ რქაწითელი 1 ლარი ეღირებოდა.

– სოფელში მოსავალი კარგი იყო, მაგრამ მოსავლის თითქმის ნახევარი გაფუჭდა. ამის მიზეზი კი ძირითადად, დაავადებები – ჭრაქი და ნაცარა იყო. ფასს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, 80 თეთრი დაბალი არ არის, მით უმეტეს წინა წელთან შედარებით, როცა

ყურძენს ჯამში 70 თეთრად ვაბარებდით. მაგრამ ხალხი მაინც ძალიან უკმაყოფილოა. ამის მეტი შემოსავალი არ გვაქვს და გლეხებიც ელოდებოდნენ, რომ წელს, საარჩევნოდ მაინც ლარი გახდებოდა, – აღნიშნა ადგილობრივმა ავთო ჭინჭარაულმა.

ამავე სოფლის მკვიდრი გელა არაბული წელს 20 ტონამდე მოსავალს ელოდება, თუმცა 20-30 % უამინდობის თუ სხვადასხვა დაავადების გამო დაუზიანდა. გელა არაბული ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ვენახის მოვლას დაახლოებით 3 000 ლარი სჭირდება, ამიტომ მისი თქმით, 80 თეთრი ცოტაა. მით უმეტეს, რომ რქაწითელი ყველაზე დიდი ოდენობით აქვთ გაშენებული.

– გლეხები ელოდნენ, რომ წლევანდელ რთველზე ყურძენს (რქაწითელს და მწვანეს) 1 ლარად ჩააბარებდნენ, – ამბობს გელა არაბული.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლამდე სახელმწიფო სუბსიდიას ყურძნის ჩამბარებელ კომპანიებზე გასცემდა, 2015 წლიდან კი ეს სისტემა შეიცვალა და სუბსიდიას უკვე მეორე წელია უშუალოდ მევენახეები იღებენ.

წლევანდელისგან განსხვავებით, გასულ წელს სუბსიდიის ოდენობა ნაკლები იყო – კერძოდ 2015 წელს სახელმწიფო 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 35 თეთრს, 1 კგ საფერავზე კი – 15 თეთრის სუბსიდიას გასცემდა.

2015 წელს რთველის სუბსიდირების პროგრამა სახელმწიფოს მინიმუმ 30 მილიონი ლარი დაუჯდა. მევენახეების შემოსავალმა კი 102 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მამუკა არეშიძე: „ნაციონალები დესტაბილიზაციისთვის ემზადებიან“

ნონა ცაბაძე

რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ წინასაარჩევნოდ? მოსალოდნელია თუ არა დესტაბილიზაცია? ვინ და რატომ უხდის ფულს სპორტსმენებს? გამოაცხადა თუ არა ნაცმოძრაობამ ზონდერების მობილიზება? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენს განცხადებებს, რომ წინასაარჩევნოდ დესტაბილიზაციას უნდა ველოდეთ, უკუშეფასებები მოჰყვა. ხშირად საუბრობს მსგავსი განცხადებებით, მაგრამ ამას ვერ ასაბუთებსო, ამ განცხადებებით ხელისუფლებას უმყარებს ზურგსო და ასე შემდეგ. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის 2012 წელი და ზუსტად იმავე განცხადებებს აკეთებს მამუკა არეშიძე. მაშინაც ზუსტად იმავეს იტყოდა ადამიანების ეს კატეგორია, რომ არეშიძის განცხადებები არის დაუსაბუთებელი. წარმოიდგინეთ, რომ არის 2012 წლის აგვისტოს შუა რიცხვები, მოვიდა 29 აგვისტო და მოხდა ლაფანყური. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არჩევნების დღეს, რომ არა ამერიკის ელჩის ჩარევა, მაგალითად, ზუგდიდში, იქ რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის. ელჩი ტყუილად არ ჩასულა იქ. ისიც ვიცით, რომ არჩევნების დღეს და მეორე დილით ახალაიების მიერ კინაღამ მოხდა უბედურება, რომ არა შაშკინის ჩარევა, რომელმაც ამერიკის ელჩი გააფრთხილა და მან მოახდინა რეაგირება.

– ეს მაშინ და ახლა?

– ზუსტად იმავეს თქმა შემიძლია. უბრალოდ, ვიდრე ურემი არ გადაბრუნდება, ვერაფერს დაინახავენ. ზუსტად იგივე სიტუაციაა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს. მე ვიცი, რომ ადამიანები ამისთვის ემზადებიან. მე შემიძლია ვისაუბრო ფაქტებით.

– რომელი ფაქტებით?

– შემთხვევით მოხდა ისე, რომ მე მივიღე ინფორმაცია ორი სპორტსმენისაგან, რომლებიც იყვნენ ყოფილი ზონდერები და 2012 წლის 1 ოქტომბერს ბაზაზე ისხდნენ. მათი გამოყენება უნდა მომხდარიყო არჩევნების დასრულებისთანავე, თუ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ოპოზიცია და მათ უნდა დაერბიათ ოპოზიციის მიტინგი. თუმცა მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა და არჩევნები აღიარა, ეს ჯგუფებიც დაიშალა. ახლა ისევ დაუძახეს ამ ზონდერებს.

– როდის და რა დავალებით?

– მაისში მოხდა ეს ამბავი და ერთ-ერთმა მათგანმა მე ეს მომიყვა. დაუძახეს ნაციონალური მოძრაობის რაიონულ შტაბში, მოსთხოვეს პირადობის ასლები და შეეპირდნენ ხელფასებს – 1.500 ლარს ერთს, 1.000 ლარს მეორეს ნოემბრის ბოლომდე.

– რა დავალება მისცეს?

– დაავალეს, რომ ისევ ისე უნდა იყვნენ მობილიზებულები არჩევნების დღეს და შეიძლება არჩევნებამდეც გამოიყენონ.

– კორცხელის ინციდენტში რომ მარტო „ოცნებას“ დაბრალდა სპორტსმენების მობილიზება?

– სწორედ კორცხელის ინციდენტი ამის ნათელი გამოხატულება იყო. ყველამ ენა დააყენოს და ჯობია გაიხსენოს, რა მოხდა!

– რა მოხდა?

– კორცხელის ინციდენტში არ მონაწილეობდნენ მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მონაწილეობდნენ მეორე მხარის მხარდამჭერებიც, ზუსტად ისეთივე სპორტსმენები, როგორიც აქეთა მხარეს! რატომღაც ამისი ხაზგასმა ვერ მოხდა ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე მედიის მხრიდან, თორემ მათი სახელები და გვარებიც ცნობილია!

– ვინ იყვნენ?

– იქ შტანგისტიც იყო და მოჭიდავეც!

– ნაციონალების პროპაგანდამ იმუშავა ამ შემთხვევაში?

– ყოველთვის ასეა. ნაციონალების პროპაგანდა მუშაობს, სოციალურ ქსელში მათი მხარდამჭერები მუშაობენ, ამიტომ ბევრი რამე ისეა, როგორც მათ აწყობთ! მე ზუსტად ვიცი, სულ მცირე, ორი არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე უკრაინაში, რომლებიც ვითომ უკრაინული ორგანიზაციებია, იქ არის რეგისტრირებული, სინამდვილეში აქაური ქართველებით არის დაკომპლექტებული.

– რა არის მათი მთავარი ამოცანა?

– მათი მუშაობის მთავარი ამოცანაა მეთოდოლოგიის შემუშავება, როგორ უნდა ჩაატარონ არჩევნები. იქ არ არის მხოლოდ ზონდერჯგუფები გათვალისწინებული. იქ გათვალისწინებულია თუნდაც ის მეთოდოლოგია, რაომელსაც ისინი იყენებენ სოციალურ ქსელში. ეს არის მეთოდოლოგია, როდესაც ყველაფერზე უნდა შექმნან მაქსიმალურად უარყოფითი ფონი, რა ცოდვაც აქვს ამ ხელისუფლებას, ასჯერ მეტი უნდა დაუმატონ, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბებული იყოს შესაბამისად.

ეს მეთოდოლოგია აქტიურად მუშაობს. მე ფრაგმენტები გითხარით, ზონდერჯგუფები არ არის გადამწყვეტი. იქ არის ფსიქოლოგიური ზემოქმედება საზოგადოებაზე. იქ არის სიების განლაგება ისე, როგორც მათ უნდათ და ბევრი სხვა რამ, მომზადება იმისა, რა უნდა მოხდეს არჩევნების დღის შემდეგ.

– შემდგომი პროცესებისთვისაც ემზადებიან?

– რასაკვირველია და ამ გეგმის ფრაგმენტსაც მოგახსენებთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნაცმოძრაობა, თუ ვერ მოახერხა სხვა უკმაყოფილო პოლიტიკური პარტიების გადმობირება აქციებისთვის და როგორ უნდა მოიქცეს, თუ მოახერხა. ძალიან ყოჩაღად მუშაობენ. ამას ხაზგასმით ვამბობ როგორც იდეოლოგიურ, ისე ძალისმიერ ფრონტზე.

– სააკაშვილი უკვე აცხადებს, რომ რთველს კახეთში შეხვდება, საკუთარ ვენახში ყურძენს დაწურავს. ეს მისი მხარდამჭერების გამხნევებაა თუ მართლა არსებობს ამის შანსი?

– რასაკვირველია, ნაწილობრივ გამხნევებაა და ყველა პოლიტიკური ლიდერი ასე მოიქცეოდა, მაგრამ არის მეორეც – მისი გუნდის წევრები სერიოზულად ფიქრობენ, რომ ამის განხორციელება შეუძლიათ. ნაციონალების ამოცანა გამარჯვება არ არის. მათი ამოცანა წარმატების მიღწევაა. მაგრამ, თუ გაუჩნდათ შანსი, რომ ქუჩა გამოიყენონ საპროტესტოდ, ამას აუცილებლად გააკეთებენ. ყველაფერი ეს გეგმაში უზით. ვიღაცამ არ დამიწყოს სულელური შეკითხვების მოცემა, საიდან ვიცი.

– ისმის ასეთი შეკითხვები.

– ჯერ ერთი, საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრება განვლე და მეორეც, ისინიც ქართველები არიან და ენას ატარტარებენ. პატარაა საქართველო, ყველას ჰყავს ახლობელი, ნათესავი, კოლეგა და ასე შემდეგ. ჩემი ერთ-ერთი გაზრდილი ყოფილი ჟურნალისტი დღეს ნაციონალური მოძრაობის სიაშია საპატიო ადგილზე.

– ანუ საფრთხე სერიოზულია?

– რასაკვირველია, სერიოზულია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, პრევენცია მოახდინოს, მაგრამ ჩემი ამოცანაა ადამიანისა, რომელიც ყოველთვის თვლიდა, რომ ნაცმოძრაობამ უნდა აგოს პასუხი თავისი დანაშაულის გამო, რომ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის ბლოკირება მოვახდინო.

– თუმცა სპირისპირო ვერსიებიც მოვისმინეთ.

– დიახ, მეც ვნახე სულელური ვერსიები სოციალურ ქსელში, ფული მისცეს და იმიტომ ლაპარაკობსო. გადაავლონ ჩემს ინტერვიუებს თვალი, მოყოლებული 90-იანი წლებიდან დღემდე. მე ის მინდა, რომ არ მოხდეს დაპირისპირება, სისხლისღვრა და უბედურება.

– სამართალდამცავები თუ ინტერესდებიან თქვენი განცხადებებით, წყაროთი, თუ ვინ გაწვდით ამ ინფორმაციებს?

– მე სამართალდამცავებსაც ვიცნობ და ვიღაც-ვიღაცები კერძოდაც ინტერესდებიან, მაგრამ ჩემი განცხადებების გამო ოფიციალურ უწყებაში არავის დავუბარებივარ.

აფხაზეთის ოპოზიცია მთავრობაში საქმიანობაზე უარს ამბობს

ანექსირებულ რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ ანექსირებული აფხაზეთის ოპოზიციამ პრეტენზიები წაუყენა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას. ეს მოხდა აფხაზეთის მთავრობის გადახალისების შემდეგ.

მაშინ ოპოზიციური ძალების ბლოკმა ხაჯიმბას გაახსენა წინასაარჩევნო შეუსრულებელი დაპირებები. უამრავი კონკრეტული დაპირების გარდა, ხაჯიმბას გაახსენეს, რომ მან არ შეასრულა სიტყვა უძრავი ქონების თემაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ. მორატორიუმი უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ არ მოხდებოდა უძრავი ქონების ფონდის ინვენტარიზაცია და მიწის კადასტრი. ამ საკითხზე გადაწყვეტილებები შესაძლებელი უნდა ყოფილიყო საკითხის საფუძვლიანი განხილვის შედეგად.

ოპოზიციამ გამოთქვა მზადყოფნა, მიიღოს მონაწილეობა დაპირებების ნაწილის შესრულებაში სამთავრობო კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის ფარგლებში.

ახლა ირკვევა, რომ ოპოზიცია უარს ამბობს მთავრობაში საქმიანობაზე. ამის შესახებ აცხადებს აფხაზეთის ახალი პრემიერი ბესლან ბარციცი:

– აფხაზეთის ოპოზიციურმა ძალებმა უარი თქვეს აფხაზეთის ახალი მთავრობის მუშაობაში მონაწილეობაზე. მინისტრთა კაბინეტის ფორმირებისას კონსულტაციები გავმართე პრაქტიკულად ყველა პოლიტიკურ ძალასთან ახალი მთავრობის მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მივაღწიეთ ურთიერთგაგებას ბევრ სახელმწიფოებრივ საკითხზე, ოპოზიციურმა ძალებმა უარი განაცხადეს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში პრაქტიკულ საქმიანობაზე.

ამასთან, ბესლან ბარციცი მიუთითებს, რომ ოპოზიციამ გააჩაღა კამპანია მთავრობის დისკრედიტაციის მიზნით. მიუხედავად ყველაფრისა, იგი გამოთქვამს მზადყოფნას, გაიზიაროს ოპოზიციის ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადება.

ახალი მთავრობა თითქმის დაკომპლექტებულია. ვაკანტური რჩება დე ფაქტო საგარეო საქმეთა და გადასახადების მინისტრების პოსტები, ასევე 4 სახელმწიფო კომიტეტისა და ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სახელმწიფო სამმართველოს ხელმძღვანელების თანამდებობები.

თავის პოზიციას განმარტავს ხაჯიმბას ყველაზე რადიკალური ოპოზიცია – პარტია ამცახარა.

ამცახარას ერთ-ერთი არგუმენტი ხაჯიმბას მთავრობიდან მათი მომხრეების გაშვებაა.

– ამ მთავრობაში ოპოზიციის საქმიანობა შეუძლებელია, ვინაიდან არ არის შესრულებული არცერთი წინასაარჩევნო დაპირება და გრძელდება ზეწოლა ოპოზიციის მომხრეებზე. მთავრობის საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა იქნებოდა უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქეების ინტერესების ღალატი, – აღნიშნავს ოპოზიციური პარტია.

ამცახარას განცხადებაში ნათქვამია, რომ რაულ ხაჯიმბამ თავისი მმართველობის პირველივე დღეებიდანვე შექმნა ხელისუფლების ვერტიკალი, რომელიც გულისხმობდა ამცახარას წევრებისა და მომხრეების სამსახურიდან გათავისუფლებას. ამ მოქმედებებმა უფრო მეტად გაზარდა განხეთქილება საზოგადოებაში და გამოიწვია უკმაყოფილება.

როგორც ჩანს, ხაჯიმბას მცდელობების მიუხედავად, აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი დაძლეული არ არის. ოპოზიციამ ამ ზაფხულს ხაჯიმბას ასევე წაუყენა ბრალდება არაფორმალური შეიარაღებული ფორმირების – ეროვნული გვარდიის შექმნისა და ქართველების პასპორტიზაციის გამო. როგორც ცნობილია, იქაურ ქართველობას ადრე დარიგებული აფხაზური პასპორტები უკანონოდ ჩაუთვალეს. ოპოზიცია ირწმუნება, რომ ხაჯიმბა ფარულად არიგებს პასპორტის შემცვლელ დოკუმენტებს.

ამ ვითარებაში ოპოზიცია, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის თავის გეგმაზე დიდი სახალხო შეკრების მოწყობის თაობაზე.

საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ თავყრილობის მოწვევის ინიციატივა ოპოზიციამ ჯერ კიდევ პრემიერ არტურ მიქვაბიას პრემიერობისას გაახმოვანა. რამდენიმე დღეში მიქვაბია გადადგა. მთავრობის შეცვლამ კრიზისი ვერ დაძლია. ამ პირობებში აფხაზეთის ოპოზიციის გაჩუმება მოსალოდნელი არ არის.

ეკონომიკა

ენგურჰესი მუშაობას შეწყვეტს

ენგურჰესის გეგმური სარემონტო სამუშაოებისთვის მზადება იწყება.

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ენგურჰესის გვირაბში სამუშაოები, სავარაუდოდ, თებერვალ-მარტში განხორციელდება.

– გვირაბთან დაკავშირებულ სამუშაოებს მოჰყვება ენგურჰესის გაჩერება. თუმცა, უკვე არის დრო, რომ ინსპექტირება ჩავატაროთ და დავგეგმოთ შესაბამისი სამუშაოები, – აღნიშნავს მარიამ ვალიშვილი.

მისივე ინფორმაციით, ენგურჰესის გვირაბში სარემონტო სამუშაოები 2006 წლის შემდეგ აღარ განხორციელებულა.

– ყოველ 5 წელიწადში ერთხელ სტანდარტია, რომ გვირაბს ჩაუტარდეს დათვალიერება და შესაბამისად, გეგმური სარემონტო სამუშაოები განხორციელდეს, რაც ვერ მოხდა 2011-12 წლებში. ამჟამად მოლოდინის რეჟიმში ვართ, უნდა შეირჩეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როცა ენგურის გვირაბის გაჩერება შესაძლებელი იქნება.

თებერვალ-მარტში, როდესაც ყველაზე დაბალია წყლის დონე, გვირაბის დათვალიერება მოხდება და შეფასდება თუ რა სამუშაოების ჩატარებაა საჭირო, – აღნიშნავს მარიამ ვალიშვილი.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვარაუდობს, რომ ენგურჰესი სამ-ოთხ კვირაზე მეტ ხანს არ გაჩერდება. მისი თქმით, ამ დროისთვის მობილიზებულები იქნებიან უცხოელი ინჟინრები. ისინი შეაფასებენ სამუშაოს მოცულობას და იმუშავებენ პროექტზე.

– თებერვალ-მარტში ყველაზე წყალმცირე თვეებია ენგურისთვის. დაბალი გამომუშავების სეზონია და, მოგეხსენებათ, ძირითადად ეს რესურსი აფხაზეთს მიაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი პრობლემა ელექტრომომარაგებაში არ შეიქმნება.

ეს არის, საერთო ჯამში 150-200 მილიონი ვატის თემა, რაც რეალურად მოხმარების ძალიან მცირე ნაწილია. აქედან გამომდინარე, მისი სისტემაში დაკომპენსირების პრობლემა არ შეიქმნება, მით უმეტეს, რომ ექსპლუატაციაში შედის ახალი ჰიდროელექტროსადგურები და გვაქვს ჩანაცვლების რესურსი, – აღნიშნავს მარიამ ვალიშვილი.

ინტერპრესნიუსი

„თიბისი ბანკმა“, შესაძლოა, „პროგრეს ბანკი“ შეიძინოს

ქართულ საბანკო სექტორში წელს, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გადაადგილებები მოხდება.

უკვე ცნობილია, რომ ბანკი „რესპუბლიკა“ უმსხვილესმა უცხოელმა ინვესტორმა „ჰუალინგ ჯგუფმა“ შეისყიდა. შესაბამისად, მისი „ბაზისბანკთან“ შერწყმის შედეგად საზოგადოება ახალი ლიდერის გამოჩენას უნდა ელოდოს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ საბანკო სექტორის ლიდერი „თიბისი ბანკი“ „პროგრეს ბანკის“ შეძენას აპირებს, რასაც ამ ეტაპზე „თიბისი ბანკში“ არ ადასტურებენ.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ „თიბისიში“ განუცხადეს, მსგავს ოფიციალურ ინფორმაციას ამ დრომდე არ ფლობენ.

საკითხთან დაკავშირებით დაუზუსტებელი ინფორმაცია აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ თავმჯდომარე გიორგი კეპულაძესაც.

– მსგავს ინფორმაციას არ ვფლობთ და ამ დრომდე მუშაობას ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ, – განუცხადეს „ბიზნესპრესნიუსს“ „პროგრეს ბანკში“.

„პროგრეს ბანკი“ ქართულ საბანკო სექტორში თითქმის ათწლიან ისტორიას ითვლის. სააქციო საზოგადოება „პროგრეს ბანკმა“ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია საბანკო საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის 31 დეკემბერს მიიღო.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

„გინდათ, რომ რუსეთში ახალი ჰიტლერი გაჩნდეს?“

ევროკავშირმა რუსეთის მიმართ სანქციები გააგრძელა

ევროკავშირმა რუსეთის მიმართ სანქციები კიდევ ექვსი თვით გააგრძელა. მიზეზი ყირიმის ანექსია და დონბასის ომია.

ამავე დროს, ამერიკელებისგან განსხვავებით, ევროკავშირმა არ გააფართოვა იმ კერძო კომპანიებისა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა სია, რომლებზეც სანქციები ვრცელდება. ევროპის საღი ძალები რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებას მიესალმნენ. ამას მხარი დაუჭირეს გერმანიის კანცლერმა მერკელმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ, ლიტვის პრეზიდენტმა გრიბაუსკაიტემ და სხვებმა.

მიუხედავად ამისა, ევროპაში საკმაოდ არიან პრორუსული ძალები, რომლებიც მომხდარის გამო აღშფოთებას არ მალავენ.

– 1939 წელს ჩვენ გარანტიები მივეცით პოლონეთს. გათამამებულმა პოლონელებმაც კუნთების თამაში დაიწყეს, თუმცა ეს კუნთები არ ჰქონდათ! შედეგად საფრანგეთი ომში აღმოჩნდა ჩათრეული. მეორე მსოფლიო

ომმა ევროპა გააჩანაგა. სამაგიეროდ, ამერიკა გაძლიერდა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ისტორია მეორდება?! – აცხადებს პრორუსული ორიენტაციის ფრანგი პოლიტიკოსი ტიერ მარიანი.

პუტინის მეორე მეხოტბე მარინ ლე პენი თვლის, რომ დასავლეთმა კურსი რუსეთის ეკონომიკურ გამოფიტვისკენ აიღო, რაც უმძიმესი შეცდომაა.

– თავის დროზე დასავლეთმა გერმანია ეკონომიკურად გამოფიტა. შედეგად მივიღეთ ჰიტლერი და მეორე მსოფლიო ომი! გინდათ, რომ რუსეთში ახალი ჰიტლერი გაჩნდეს? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ღატაკი და მშიერი რუსეთი უფრო საშიშია? – აცხადებს ლე პენი.

ვინ შეასრულებს უზბეკეთის პრეზიდენტის მოვალეობას

უზბეკეთის პარლამენტის ორივე პალატა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის საკითხს განიხილავს. ამის შემდეგ დაინიშნება ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

დასავლელი ექსპერტები შიშობენ, რომ შესაძლოა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ამჟამინდელ პრემიერ შავკათ მირზოევს დაეკისროს, არჩევნების შემდეგ კი მირზოევი პრეზიდენტად მოგვევლინოს.

– ის ბევრად უფრო სასტიკია, ვიდრე განსვენებული ქარიმოვი, – აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი კლარკი.

შოტლანდიაში ახალ რეფერენდუმს არ გამორიცხავენ

შოტლანდიის პრემიერმა სტერჯენმა განაცხადა, რომ ლონდონს არ გააჩნია უფლება, შოტლანდიას ევროპის ერთიან ბაზარზე გასვლა აუკრძალოს.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ მის ქვეყანას ევროკავშირში დარჩენა სურს.

– არ გამოვრიცხავ, რომ დამოუკიდებლობის თაობაზე ახალი რეფერენდუმი ჩავატაროთ, – თქვა სტერჯენმა.

ტრამპი აშშ-ის არმიის გაძლიერებას აპირებს

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ თუკი პრეზიდენტი გახდება, შეიარაღებული ძალების რაოდენობას გაზრდის და სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასს მოუმატებს.

– ძლიერი არმია ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს, – თქვა ტრამპმა.

ჰალიმოვი რაჰმონს ემუქრება

ტაჯიკეთის ომონის ყოფილმა მეთაურმა ჰალიმოვმა თავის ჯარისკაცებს მობილურით შეტყობინება გაუგზავნა.

ჰალიმოვი იმუქრება, რომ 9 სექტემბერს, ანუ ტაჯიკეთის დამოუკიდებლობის დღეს, როგორც პრეზიდენტ რაჰმონს, ასევე მის უახლოეს გარემოცვასაც სათანადოდ მიულოცავს.

– ისინი სისხლში იბანავებენ, – აცხადებს ჰალიმოვი.

ცოტა ხნის წინ ჰალიმოვი ისლამური სახელმწიფოს სამხედრო ხელმძღვანელი გახდა

– დღეს ექსტრემისტებს შორის ჰალიმოვი ყველაზე საშიში ფიგურაა, – თვლის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი.

სირიაში 2 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა

გრძელდება თურქეთის არმიის სამხედრო ოპერაცია სირიაში სახელწოდებით „ევფრატის ფარი“.

სოფელ ალ-ვაკფთან ექსტრემისტებმა თურქ ჯარისკაცებსა და სირიის თავისუფალ არმიაზე თავდასხმა განახორციელეს.

სროლის შედეგად დაიღუპა 2 თურქი და სირიის თავისუფალი არმიის 3 მეომარი. ექსტრემისტების დანაკარგია 4 მოკლული.

თურქებმა და სირიელმა პარტიზანებმა ისლამისტები კიდევ რამდენიმე სოფლიდან განდევნეს.

მსოფლიოში პირველი სახეგადანერგილი ქალი გარდაიცვალა

იზაბელ დინუარი, რომელიც მსოფლიოში პირველი ქალი გახდა, რომელსაც სახის კანი გადაუნერგეს, საფრანგეთში 49 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დინუარმა სახის სერიოზული დაზიანება 2005 წლის მაისში საკუთარი ძაღლის თავდასხმის შემდეგ მიიღო. თითქმის ერთი წლის შემდეგ ის მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა იმის წყალობით, რომ მას პირველად წარმატებით გაუკეთდა სახის ქსოვილების ნაწილობრივი ტრანსპლანტაცია. ოპერაცია ამიენის საავადმყოფოში გაუკეთდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადასანერგი კანი, მათ შორის ცხვირისა და პირის ქსოვილები, დონორი ქალისგან იქნა აღებული, რომელსაც ტვინის სიკვდილი დაუდგინდა.

თავად დინუარის თქმით, ქირურგების წყალობით მას შეეძლო ჭამა, ლაპარაკი და ნორმალურად გაღიმება.

გასულ ზამთარს დინუარი მას შემდეგ გახდა შეუძლოდ, როდესაც მისმა სხეულმა გადანერგილი კანი იუცხოვა. ამის შედეგად ის ნაწილობრივ ვეღარ ახერხებდა ტუჩების მოძრაობის გაკონტროლებას. მკურნალობამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ მას ორი სახის ონკოლოგიური დაავადება განუვითარდა. საბოლოოდ ეს ყოველივე დინუარის გარდაცვალებით დასრულდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შეტაკებები დაღესტანში

დაღესტანში გრძელდება შეტაკებები ადგილობრივ პარტიზანებსა და რუსეთის სპეცნაწილებს შორის.

ქალაქ იზბერბაშში სპეცრაზმელებმა პარტიზანები ალყაში მოაქციეს და იარაღის დაყრა მოსთხოვეს. პარტიზანებმა უარი განაცხადეს.

ამის შემდეგ დაიწყო სროლა. მოკლულია 7 პარტიზანი და 4 რუსი სპეცრაზმელი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ნევრასთენია ნევროზის ერთ-ერთი სახეა, რომელიც გამოხატულია ნერვული სისტემის აშლილობით. ავადმყოფს ახასიათებს გაღიზიანებადობა, ფხიზელი ძილი, გულისცემის გახშირება, თავის ტკივილები, საერთო სისუსტე, ავადმყოფური რეაქციები ხმაურზე, შუქზე და ა.შ.

● 1 ჩაის კოვზ ვალერიანას დაქუცმაცებულ ფესვებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს. აჩერებენ 20 წუთი. სვამენ თბილ ნაყენს ძილის წინ.

● 1 სუფრის კოვზ ვალერიანის ძირებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა ცივ წყალს. აჩერებენ 6-8 საათი. წურავენ.

მიღება: თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში. ბავშვებს ჩაის კოვზით.

● 1-2 სუფრის კოვზ შავბალახას ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ გაციებამდე. წურავენ. იღებენ 1-2 სუფრის კოვზს 3-5-ჯერ დღეში 20 წუთით ადრე ჭამამდე.

● 1 სუფრის კოვზ კუნელის დაჩეჩქვილ ნაყოფებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ 2 საათი (ჰაერღუმელში ან თერმოსში). იღებენ 1-2 სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

იღებენ წითელი კუნელის ყვავილსა და ნაყოფს. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს ასხამენ 3 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ თერმოსში 2 საათი. წურავენ. იღებენ 1/2 ჩაის ჭიქას დღეში 3-ჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე.

● 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარეს. წურავენ გაციებულს. იღებენ 1 დღის განმავლობაში.

● ტიბეტური მედიცინის რჩევით იღებენ ყოველდღიურად ერთ მიღებაზე 30 გრამ კაკალს, 20 გრამ ქიშმიშს და 20 გრამ ყველს. ეს საშუალება ხსნის დაღლილობას, თავის ტკივილს, აძლიერებს გულის კუნთსა და ნერვულ სისტემას.

● 1 ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსნილი 1 სუფრის კოვზი თაფლის მიღება ძილის წინ მოქმედებს, როგორც საძილე საშუალება. ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

● 1 სუფრის კოვზ ასკილის ნაყოფს დაასხით ერთი ჭიქა წყალი. ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. 1 დღე-ღამის შემდეგ ნაყენი მზადაა. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ. ბავშვებს 1/8-1/4 ჭიქას აძლევენ ერთ მიღებაზე.

გაფრთხილება: უნდა გვახსოდეს, რომ ასკილის ნაყოფის ნახარშების ან ნაყენების გამოყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუშვებელია მათთვის, ვისაც აქვს თრომბოფლებიტი.

● ორ სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ჟოლოს ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, მიღებული ნაყენი ერთი დღის დოზაა.

● 2 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ჟოლოს ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. გააციეთ და მიიღეთ სამჯერ დღეში 100 გრამის ოდენობით.

● კაპარის დაქუცმაცებულ და გამხმარ ფესვებს ადუღებულ წყალს ასხამენ (20 გრამი ფესვები 200 გრამ წყალზე), თავზე მჭიდროდ

ახურავენ და დგამენ ოთახის ტემპერატურაზე მის გაგრილებამდე. შემდეგ გადაწურავენ და მიიღებენ დღეში 3-ჯერ 50 გრამის ოდენობით.

● კატაბალახას ფესვებს შეფარდებით 1:5, დაასხით 70%-იანი არაყი ან სპირტი. დადგით ოთახის ტემპერატურაზე ერთი კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ სითხე გაწურეთ ნარჩენებთან ერთად. მიიღეთ დღეში სამჯერ 15-20 წვეთი.

არყის ახალ ფოთლებს წვრილად აქუცმაცებენ, რეცხავენ ანადუღარი ცივი წყლით. ამ წყალს ღვრიან, შემდეგ 40-50 გრადუს ტემპერატურის ანადუღარ წყალს ასხამენ და სამნახევარი საათის განმავლობაში დგამენ, წყალს გადაასხამენ, დაქუცმაცებულ ფოთლებს წურავენ. ამის შემდეგ ნაყენს დადგამენ 6 საათის განმავლობაში, ნალექს მოაცილებენ. მოხმარებისთვის გამზადებულ ნაყენს ინტენსიური მწვანე მოყვითალო ფერი აქვს, ოდნავ მწარე გემოთი.

მიიღეთ: 50-100 გრამი, ზოგჯერ 200 მლ დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე.

● ნევროზის მსუბუქი ფორმების დროს დალიეთ მაყვლის ძირების ნაყენი, თავშავას ჩაი, ჭინჭრის ნაყენი, ჭინჭრის თავების ნაყენი.

● ხელის მუჭში ჩაიყარეთ 3-4 ცალი კაკალი და ნელ-ნელა ატრიალეთ თითების დახმარებით. ამგვარი თერაპია უხსოვარი დროიდან

არის ცნობილი. დადგენილია, რომ ხელის მტევნების მუშაობა ფსიქოლოგიურ სიმშვიდეს იწვევს და ტვინის ცენტრებში გადაღლილობის განვითარებას დროებით აჩერებს, ვინაიდან თითების ბოლოებში არსებული ურიცხვი ნერვული დაბოლოებები უშუალოდ თავთან არის დაკავშირებული. ამგვარი მანიპულაციის შედეგად ხელებში აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და ფიზიკურ ჯანმრთელობას უწყობს ხელს.

● აიღეთ 10 გრამი (1-1,5 სუფრის კოვზი) კატაბალახას ფესვები და ფესურები, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური, დადგით დაბალ ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში. გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ. დაუმატეთ ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობით (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

● სვით ნაყოფების ერთ წონით ნაწილზე იღებენ ოთხ წონით ნაწილ 70%-იან სპირტს. მიღებულ ნაყენს დღეში ორჯერ, სადილობისა და ძილის წინ ერთ ნატეხ შაქარზე ან ჩაის კოვზ წყალში განზავებით 5-7 წვეთ ნაყენს იღებენ.

● 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული სვიის გირჩები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წუთი. გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. გადაწურეთ, შეავსეთ საწყის მოცულობამდე (200 მლ-მდე) მიიღეთ 1/2 ჭიქა 4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

გაფრთხილება: არ დაგავიწყდეთ, რომ გირჩები შხამიანია და მისი ნაყენების დიდი დოზებით მიღებამდე შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, ტკივილები მუცლის არეში, თავის ტკივილი, დამტვრეულობისა და საერთო სისუსტის გრძნობა.

● სვიის ნაყენის მომზადება ცივი სახითაც შეიძლება. ამისათვის 1-2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ გირჩებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 12-14 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ ყლუპებით, ძილის წინ.

აგრეთვე რეკომენდებულია სვიის გირჩებით ავსებული ბალიშების ხმარებაც.

● დაამზადეთ შემდეგი ნარევის ჩაი: სურნელოვანი ჩიტისთვალა – 20 გრამი, მაყვლის ფოთლები – 25 გრამი, ურცი – 10 გრამი, შავბალახა – 20 გრამი, ბერულა – 15 გრამი. კარგად შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის 30 გრამს დაასხით 300 გრამი ადუღებული წყალი. გაგრილების შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 100 გრამის ოდენობით.

● მაყვლის ნედლი ნაყოფებისგან დაამზადეთ ჩაი და სვით ჩაის მაგიერ.

● 1 სუფრის კოვზ გვრილისებური ასტრიის ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააგრილეთ, გაწურეთ. სვით თითო სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ ააქტიურებს და ამაგრებს ნერვულ სისტემას.

● დეპრესიის მიზეზად ხშირად გვევლინება ორგანიზმში რძის მჟავის უკმარისობა. ყველაზე ხშირად ეს ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მიირთმევენ დიდი რაოდენობით ხორცს და ძალიან ცოტა რძის პროდუქტებს. მეცნიერები რეკომენდაციას უწევენ სამთვიან მკურნალობის კურსს პურის ბურახითა და მჟავე კომბოსტოს წვენით.

სასარგებლოა, იცოდეთ

კუჭის წყლულის დროს

შეურიეთ ერთმანეთს თითო ჭიქა სტაფილოს და უმი ჭარხლის წვენი, 1 ს/კ ალოეს ნაყენი (ფოთოლი 3 წელზე მეტი ხნის უნდა იყოს), 250 გ თაფლი, 2 ჭიქა ღვინო. ჩაასხით მუქი ფერის ჭურჭელში, 7 დღე გააჩერეთ ცივ და ბნელ ადგილას. მიიღეთ თითო ს/კ ნარევი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 15 წუთით ადრე. უნდა მიიღოთ 3 ლ, შეისვენოთ 20 დღე, გაიმეოროთ კურსი და ისევ შეისვენოთ. სულ სამი კურსია.

მშრალი ხველის დროს:

1. დაღეჭეთ 15 ცალი ფიჭვის წიწვი, წვენი გადაყლაპეთ, წიწვი კი გადმოყარეთ.

2. ჩაის კოვზით შაქარი გაადნეთ ცეცხლზე, როდესაც შაქარი თაფლისფერი გახდება, კოვზი ჩადეთ ცივ წყალში. შაქარი გამაგრდება კარამელივით. შეჭამეთ კარამელი და დააყოლეთ ტკბილი წყალი. ხველება გაგივლით.

ბრონქიტის დროს:

1. ემალის ჭურჭელში ჩაყარეთ 1 ს/კ სალბი, დაასხით 1 ჩ/ჭ რძე, თავდახურული დადგით ნელ ცეცხლზე და წამოადუღეთ. გააჩერეთ და თბილი ნაყენი მიიღეთ ძილის წინ.

2. 2 ს/კ ნაღების ახალ კარაქს დაამატეთ 2 კვერცხის გული, 1 ს/კ პურის ფქვილი, 2 ჩ/კ თაფლი და კარგად აურიეთ. მიიღეთ 1 ს/კ დღეში 3-4-ჯერ.

მაღალი წნევის დროს:

2 ჩ/ჭ ჭარხლის წვენს დაამატეთ 1/5 ჩ/ჭ წითელი მოცხარის წვენი, 1 ჩ/ჭ არაყი, 250 გ თაფლი და 1 ცალი ლიმონის წვენი. მიიღეთ 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე.

ჭიების სამკურნალო

უსაფრთხო და ეფექტიანი წამალი: ნახევარ ბროწეულს (ქერქიანად) დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 5 წუთი ადუღეთ, 2 საათი გააჩერეთ. მიეცით პატარას რამდენიმე ყლუპი დღეში 3-4-ჯერ. ჭიების მოსასპობად 3-4 ჩ/ჭ საკმარისია.

ჟოლო ფოლიუმის მჟავას შეიცავს

ჟოლოს არა მარტო გემოსა და არომატისთვის აფასებენ, არამედ არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებების გამოც. საინტერესოა, რა არის მასში ასეთი უჩვეულო?

1. შეიცავს სალიცილის მჟავას, რომელიც ანთების საწინააღმდეგო და სიცხის დამწევი ბევრი პრეპარატის შემადგენლობაში შედის.

2. გვინარჩუნებს ახალგაზრდობას მასში შემავალი A, PP და B2 ვიტამინების წყალობით, რომლებიც კანის ტონუსზე, სიმკვრივეზე, სიგლუვესა და ფერზე აგებენ პასუხს.

3. დიდი რაოდენობით სპილენძს შეიცავს. სპილენძი კი ანტიდეპრესანტების შემადგენლობაში შედის. ამდენად, ჟოლოს მირთმევა სასარგებლოა მათთვის, ვისაც დეპრესია აქვს და სტრესულ სიტუაციებში ხშირად ხვდებიან.

4. ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნის პროცესს, რადგან დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს.

5. ცე ვიტამინის შემცველობის ხარჯზე აუმჯობესებს პოტენციას.

6. სასარგებლოა ორსულთათვის და მათთვის, ვისაც ბავშვის ჩასახვა სურს, რადგან ფოლიუმის მჟავას შეიცავს.

7. აუმჯობესებს თირკმლების მუშაობას, ხსნის შეშუპებას, რადგან ჟოლოს ფოთლების ნახარშს შარდმდენი თვისება გააჩნია.

8. შეიცავს მთრთიმლავ ნივთიერებებს, ამდენად, ანგინის დროს სასარგებლოა მისი ნაყენის ყელში გამოვლება.

9. ასპირინისგან განსხვავებით, არ აღიზიანებს კუჭს და არ ახდენს კუჭის წყლულის პროვოცირებას.

ჟოლო, ბევრი სხვა კენკროვანისაგან განსხვავებით, თერმული დამუშავებისას სასარგებლო თვისებებს არ კარგავს. სწორედ ამიტომ ჟოლოს მურაბა ოდითგანვე სურდოსა და გაციების დროს უებარ საშუალებად ითვლებოდა.

იმისათვის, რომ ჟოლომ კიდევ უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებები შეინარჩუნოს, სასურველია, მურაბის მოხარშვის პროცესში ნახევარი ჭიქა ახალგამოწრურული ჭარხლის წვენი დაუმატოთ. ასე მის შემადგენლობაში შემავალი ვიტამინები და მინერალები არ დაიშლება და პირველადი სახით შენარჩუნდება.

გთავაზობთ მეჭეჭების სამკურნალო რამდენიმე ხალხურ რეცეპტს:

● 2 ცალი ლიმონის დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 1/2 ჩ/ჭ 30%-იანი ძმარი, მჭიდროდ თავდახურული შეინახეთ 7-8 დღე, შემდეგ გადაწურეთ. ნაყენში დაასველეთ ბამბის ტამპონი და დღეში 3-4-ჯერ დაიდეთ მეჭეჭზე.

● ლეღვის ქორფა ყლორტი გადატეხეთ, ყლორტიდან გამოსული რძე წაისვით მეჭეჭზე, გაიმეორეთ ერთი კვირა ყოველდღე.

● მეჭეჭზე წაისვით ქრისტესისხლას გადატეხილი ღეროდან გამოსული წვენი.

● დაქუცმაცებული ნივრის კბილი დაიდეთ მეჭეჭზე და დაიმაგრეთ. კანი რომ არ დაგწვათ, 2 საათის შემდეგ მოიცილეთ.

თუმცა მედიკოსები გვირჩევენ, ექიმის მეთვალყურეობის გარეშე მეჭეჭების მკურნალობისგან თავის შეკავებას (განსაკუთრებით ტუჩებსა და ქუთუთოებზე), რათა არ გამოიწვიოს გართულებები.

თავშავა ნევროზის, სისხლძარღვების სპაზმის დროს დაგეხმარებათ

თავშავა უნიკალური სამკურნალო მცენარეა. მის პრეპარატებს გააჩნია ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, დამაწყნარებელი, ამოსახველებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, საჭმლის მომნელებელი, წნევის დამწევი და კრუნჩხვების საწინააღმდეგო ეფექტი.



შეკრულობის, კუჭის სპაზმის ან უმადობის დროს ორი ჩაის კოვზ გამხმარ და დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ გადაწურეთ მარლაში და მიიღეთ მეოთხედი ჭიქა თბილი ნაყენი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

სისხლძარღვების სპაზმის ან თავის ტკივილის დროს, ოთხ სუფრის კოვზ თავშავას დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი. გააჩერეთ ერთი საათი, შემდეგ გადაწურეთ და ამ ნაყენით დაიბანეთ თავი და სახე. თავი თბილად შეიხვიეთ და ჩაწექით საწოლში.

ნევროზის ან უძილობის დროს ერთ სუფრის კოვზ ნედლეულს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. გააჩერეთ დაახლოებით, ერთი საათი, გადაწურეთ და დალიეთ სამი სუფრის კოვზი ნაყენი, დღეში სამჯერ, ჭამამდე. კურსი ჩაიტარეთ ერთი თვის განმავლობაში და შემდეგ შედეგს დააკვირდით.

გაციების, გრიპისა და ხველების დროს, ორ ჩაის კოვზ თავშავას დაასხით ნახევარი ლიტრი ადუღებული წყალი, გააჩერეთ ერთი საათი. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა თბილი ნაყენი დღეში სამჯერ, ჭამამდე ოცი წუთით ადრე, გამოჯანმრთელებამდე.

მოჭადრაკე ვაჟები ოლიმპიადაზე ყოჩაღობენ

ბაქოში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბრწყინვალედ თამაშობენ ჩვენი ვაჟები. ბოლო ტურში ესპანეთის უძლიერესი ნაკრები გაანადგურეს – 3,5:0,5.

გუნდის ლიდერმა, ბაადურ ჯობავამ ტოპდიდოსტატი ფრანსისკო პონს ვალეხო (2716) დაამარცხა შავი ფიგურებით დაძაბულ ბრძოლაში. გუნდის დანარჩენმა წევრებმაც გამოიჩინეს თავი: თამაზ გელაშვილმა (2575) შავებით რენიერ ვასკეს იგარზას (2580) სძლია , ლევან ფანცულაიამ თეთრი ფიგურებით დავიდ ანტონ გუიხაროს (2630) მოუგო, თორნიკე სანიკიძე კი თეთრებითვე ხოსე კარლოს იბარა ხერესს (2566) დაუზავდა.

5 ტურის შემდეგ 10-10 ქულით ჰოლანდია, უკრაინა და ინდოეთი დაწინაურდნენ, რომელთაც ქულით ჩამორჩებიან ჩეხეთი, აშშ და საქართველო. დამატებითი მაჩვენებლებით საქართველოს ნაკრები მე-6 ადგილზეა და მომდევნო ტურში ჩეხეთის გუნდს შეხვდება.

ვაჟების მსგავსად, 3,5:0,5 გაიმარჯვეს ჩვენმა ქალებმა პერუელ მოჭადრაკეებთან დაპირისპირებაში. პარტიები მოიგეს ლელა ჯავახიშვილმა (2486), ბელა ხოტენაშვილმა (2463) და ნინო ბაციაშვილმა (2474), ერთადერთი ყაიმი კი ნაკრების ლიდერმა ნანა ძაგნიძემ (2522) გააფორმა. აღსანიშნავია, რომ ნინო ბაციაშვილმა ზედიზედ 5 გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიადაზე.

ქალთა ტურნირში საქართველოს ნაკრებმა თავი 8 ქულას მოუყარა და დამატებითი მაჩვენებლებით მე-7 პოზიციაზე გადაინაცვლა. 10-10 ქულით რუსეთი და უკრაინა ლიდერობენ, რუმინეთს, ჩინეთს და აზერბაიჯანის პირველ გუნდს აქტივში 9-9 ქულა აქვთ, შემდეგ კი, უნგრეთი, საქართველო, პოლონეთი, ინდოეთი, თურქეთი, სერბეთი, ვიეტნამი, აშშ, ლატვია, ყაზახეთი და ჰოლანდია მოდიან.

მე-6 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები აზერბაიჯანის პირველ გუნდს დაუპირისპირდება.

თბილისი ფრენბურთის ევროპის ჩემპიონატის ბ ჯგუფს უმასპინძლებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჩაჩუასთან ერთად, ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის პირველ ვიცეპრეზიდენტ რენატო არენას, ვიცეპრეზიდენტ იოზგან მუთლუგილს და 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს შეხვდა. შეხვედრას სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძეც ესწრებოდა.

სამინისტროში დაგეგმილ შეხვედრაზე საუბარი იყო ქალთა შორის 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებზე და იმ მოსამზადებელ სამუშაოებზე, რაც საქართველომ უნდა გასწიოს. ქალ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფურ ეტაპს მომავალი წლის სექტემბერში თბილისის ახალი სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი აზერბაიჯანსა და საქართველოში ერთდროულად გაიმართება.

2017 წლის სექტემბერში თბილისი ფრენბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატზე სულ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, თბილისი ბ ჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრები ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია მსოფლიოს 160 ქვეყანაში განხორციელდება, ჩემპიონატის ზუსტი თარიღები და მონაწილე ნაკრებების ვინაობა კი ოქტომბრის ბოლომდე გაირკვევა.

დუაიტ იორკი: „მანჩესტერულ დერბიში ფავორიტი მანჩესტერია“



მომავალ უქმეებზე მანჩესტერული დერბია – იუნაიტედი-სიტი. მოახლოებულ მატჩზე უკვე ბევრს საუბრობენ.

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდარულმა შემტევმა დუაიტ იორკმა განაცხადა, რომ მანჩესტერულ დერბიში „წითელი ეშმაკები“ ფავორიტები არიან.

არადა, ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში ფავორიტის სტატუსი ქალაქელების მხარეს იყო, რადგან, როდესაც ისინი იბრძოდნენ ჩემპიონობისთვის, ამ დროს იუნაიტედი იმას ცდილობდა, რომ პირველ ოთხ გუნდში მოხვედრილიყო.

თუმცა ჟოზე მურინიოს სათავეში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. იორკი თვლის, რომ იუნაიტედმა კვლავ დაიბრუნა ფავორიტის სტატუსი „ოლდ ტრაფორდზე“.

დუაიტ იორკი:

– ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია, მათ ქულების მაქსიმუმი აიღეს და შესანიშნავი სტარტი გამოუვიდათ. მოურინიო და გვარდიოლა შესანიშნავად მუშაობენ. იუნაიტედში თითქოს გარდასახვა მოხდა, კლუბმა ისეთი მატჩები მოიგო, რომლებშიც შესაძლოა გასულ სეზონში ქულები თავისუფლად დაეკარგა. მოურინიომ ფეხბურთელებს გამარჯვების სურვილი ჩაუნერგა. ასევე აღსანიშნავია პეპიც. ჩვენ ვიცით, რომ ის გამარჯვებულია. ყველგან სადაც მივიდა, ყველგან გაიმარჯვა. ახლა კი ამ ყველაფრის გაკეთებას სიტისთან ერთადაც სურს.

ამ დროისთვის რთულია ამ მატჩის შეფასება, ქალაქელებმა საკმაოდ დიდი დარტყმა მიიღეს კუნ აგუეროს დაკარგვით, მაგრამ მათ ჰყავთ საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც არგენტინელის ჩანაცვლება შეუძლიათ. ამასთანავე, იუნაიტედის უპირატესობა კიდევ იმაშიც იკვეთება, რომ მატჩი მის კედლებში, „ოლდ ტრაფორდზე“ გაიმართება.

დასანანი მარცხი მონტენეგროსთან

საქართველო-მონტენეგრო 74:76

(25:19, 17:21, 12:22, 20:14)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ჯგუფში უმთავრეს კონკურენტ მონტენეგროსთან 74:76 წააგო. ეს იყო მატჩი, რომლის ბედიც ერთმა ბურთმა გადაწყვიტა. ამ ფონზე, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველომ მეტოქეზე ორჯერ მეტი – 16 ბურთი დაკარგა და ფარქვეშიდან რამდენიმე იოლად ჩასაგდები ბურთი ააცილა, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ილიას ზუროსის გუნდმა ამის გამო წააგო, თუმცა ურიგოდ არ უთამაშია.

ჩვენმა სტუმრებმა საბოლოოდ 2 ქულით, საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე ჩაგდებული ბურთით მოგვიგეს.

ამ ბურთის სამართლიანად ჩაგდების საკითხიც სათუოა. როცა ანგარიში თანაბარი იყო და თამაშის დასრულებამდე 25 წამი რჩებოდა, მონტენეგროელები შეტევაზე წამოვიდნენ და საშუალო დისტანციიდან ამერიკელმა უკანახაზელმა ააცილა. ბურთი ნიკოლა ვუჩევიჩმა მოხსნა, მაგრამ ისე, რომ თორნიკე შენგელია იდაყვით მოიცილა. ვუჩევიჩმაც ააცილა, მაგრამ შემდეგ სამჯერ მოხსნეს ბურთი, რომელსაც საბოლოოდ დურიშიჩი დაეუფლა და მისმა ორქულიანმა ანგარიში 76:74 გახადა.

მონტენეგროელები ჩვენს ფარზე 3-ჯერ ზედიზედ ბურთს ვერ მოხსნიდნენ, მოედნიდან პერსონალურების ლიმიტის გამო ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი რომ არ გაეგდოთ. მსაჯებმა ეს მოთამაშეები თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ერთმანეთის მიყოლებულ შეტევებში გაგდეს. ზაზა ფაჩულიამ საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 22 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. მისმა ორქულიანს მოყოლილმა საჯარიმომ შეხვედრის დასრულებამდე 2:28 წუთით ადრე საქართველო 70:68 დააწინაურა. ამის შემდეგ ფაჩულია მალევე გავარდა და მონტენეგროელებმა ზედიზედ 2 სამქულიანი ჩაგვიგდეს – 74:70 მატჩის დასრულებამდე 1 წუთით ადრე.

მიუხედავად ამისა, ქართველებმა მოახერხეს და თორნიკე შენგელიასა და მაიკლ დიქსონის ორქულიანებით ანგარიში გაათანაბრეს, რის შემდეგაც ზემოთ ნახსენები მონტენეგროელთა შეტევა დაიწყო. საქართველოს ნაკრებმა დარჩენილი 3 წამი წუთშესვენებაზე დაგეგმა და მაიკლ დიქსონის გამარჯვების სამქულიანი მონტენეგროელთა კალათში არ ჩაეშვა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო შეხვედრას ალბანეთში 10 სექტემბერს გამართავს.

თორნიკე შენგელია:

– ბურთი ხან ჩავარდება ხან არა, ერთადერთი, რისი კონტროლიც შეგვიძლია არის დაცვა. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია და გაგვექცა, დაწევა და გათანაბრება ძალიან ძნელია. ამ მატჩში ვერ შევძელით ეს, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ 17 სექტემბერს ამას შევძლებთ. შეცდომები ორივე გუნდს ჰქონდა, ასევე მსაჯებსაც, რომლებიც ჩვენს სასარგებლოდაც უსტვენდნენ და იმათ სასარგებლოდაც.

ილიას ზუროსი:

– პირველ რიგში, განსაკუთრებული და დიდი მადლობა გულშემატკივრებს. ისინი ბოლომდე ჩვენ გვერდით იყვნენ. რაც შეეხება თამაშს, მე არ ვარ კმაყოფილი შედეგით, თუმცა ამაყი ვარ ჩემი კალათბურთელებით. მათ ბოლომდე დადეს თავი და იბრძოლეს ბოლო წუთამდე. ჩვენ ეს თამაში დეტალებში წავაგეთ.

ბოიან დუბლიევიჩი, ჩერნოგორიელთა კაპიტანი:

– ვფიქრობ, რომ ყველასთვის სანახაობრივი და ნამდვილად კარგი თამაში გამოვიდა. საქართველოს ძლიერი გუნდი ჰყავს და მისი დამარცხება ადვილი ნამდვილად არ იყო.

ბოგდან ტანიევიჩი, ჩერნოგორიელთა მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ დარბაზში ძალიან კარგი ქომაგობა იყო. 1964 წელს ქორქიასა და საკანდელიძის წინააღმდეგ მომიწია აქ თამაში და მაშინაც ნამდვილი საკალათბურთო ატმოსფერო იყო. ამის ფონზე, უფრო დასაფასებელია ის გამარჯვება, რომელიც მოვიპოვეთ. სატურნირო ცხრილის თვალსაზრისითაც დიდი ნაბიჯი გადავდგით ევროპის ჩემპიონატისკენ – წინ, რა თქმა უნდა, კიდევ 3 თამაშია, მაგრამ ამ მოგებამ ბევრი რამ გადაწყვიტა ჩვენთვის.

ჩვენივე ჯგუფში სლოვაკეთის ნაკრებმა 69:60 დაამარცხა ალბანეთი.

სატურნირო ცხრილი:

1.ჩერნოგორია	3	3	0286:212	6
2.საქართველო	3	2	1254:186	5
3.სლოვაკეთი	3	1	2197:251	4
4.ალბანეთი	3	0	3180:268	3

დონარუმა რეალის თვალთახედვის არეში მოექცა

მილანის 17 წლის გოლკიპერმა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ იტალიის ნაკრებშიც გამოიძახეს, მსოფლიო აალაპარაკა.

მიუხედავად მილანური კლუბის უხეირო თამაშისა, ახალგაზრდა ჯანლუიჯი დონარუმა სტაბილურობითა და საიმედოობით გამოირჩევა. მას უკვე მომავალ ბუფონსაც უწოდებენ და, ალბათ, არცთუ შემთხვევით. ასეთ ასაკში სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა და გადამწყვეტი სეივების გაკეთება ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი მოვლენა.

განსაკუთრებული მონაცემების მქონე კარის დარაჯით უკვე რამდენიმე ევროპული გრანდი დაინტერესდა და მათ შორის მადრიდის რეალიც. როგორც სხვადასხვა გამოცემა წერს, ფეხბურთელისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი ფლორენტინო პერესი.

თავად დონარუმა „ბლანკოსში“ გადასვლაზე არ საუბრობს და ამბობს, რომ ჯერ მხოლოდ მილანზე ფიქრობს.

იტალიურ ფეხბურთში ფინანსები იმატებს

იტალიური ფეხბურთი თანდათან გამოდის კრიზისიდან. მართალია, სხვა წამყვან საფეხბურთო ქვეყნებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ სატრანსფერო ბაზარზე კლუბების აქტიურობა, ხელფასების მატება და აღმოსავლური ინვესტიციები აპენინელებს ოპტიმიზმის საშუალებას აძლევს.

სერია ა-ს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ტურინის იუვენტუსის ახალწვეული ფორვარდი გონსალო იგუაინია, რომელიც წლიურად 7.5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. რომას ნახევარმცველი დანიელე დე როსი წელიწადში 6.5 მილიონს იღებს. მესამე ადგილს იკავებენ ედინ ჯეკო (რომა) და მირალემ პიანიჩი (იუვენტუსი) – 4.5 მილიონი.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი მასიმილიანო ალეგრია. მას იუვენტუსში 5 მილიონ ევროს უხდიან. შემდეგ მოდიან რომას თავკაცი ლუჩანო სპალეტი (3 მილიონი) და მილანის დამრიგებელი ვინჩენცო მონტელა (2..2 მილიონი).

ჯამურად იტალიური კლუბები წელს ხელფასებზე 927 მილიონს დახარჯავენ – 45 მილიონით მეტს, ვიდრე გასულ სეზონში.

ყველაზე კარგი ხელფასები იუვენტუსშია – 145 მილიონი. შემდეგ მოდიან: ინტერი (120 მილიონი), რომა (92 მილიონი), მილანი (80 მილიონი) და ნაპოლი (75 მილიონი).

შედეგები

7 სექტემბერი

ფეხბურთი

იტალია. სერია ბ

ტერნანა-პიზა 1:0

კალათბურთი

ევრ-2017. შესახრევი ეტაპი

ბელგია-ისლანდია 80:65
შვეიცარია-კვიპროსი 76:80
გერმანია-ჰოლანდია 71:75
ავსტრია-დანია 86:66
შვედეთი-რუსეთი 73:85
პოლონეთი-ესტონეთი 78:64
ბელორუსი-პორტუგალია 72:62
სლოვენია-უკრაინა 81:77
ბულგარეთი-კოსოვო 105:84
საქართველო-ჩერნოგორია 74:76
სლოვაკეთი-ალბანეთი 69:60
მაკედონია-უნგრეთი 66:76
დიდი ბრიტანეთი-ლუქსემბურგი 95:72

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კარლო ანჩელოტის მიზანი ლიგის მოგებაა



მიუნხენის ბაიერნმა ყოფილი მწვრთნელის პეპ გვარდიოლას თავკაცობით ზედიზედ სამჯერ განიცადა მარცხი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ ეტაპზე. ბავარიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი კი ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა კლუბმა მეოთხე ცდა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე ტრიუმფით დაასრულოს.

აღნიშნულ ტურნირზე იტალიელ სპეციალისტს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს – კარლომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ორი სხვადასხვა გუნდით, მილანითა და მადრიდის რეალით, მოახერხა.

კარლო ანჩელოტი:

– ბაიერნის უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება. მიუნხენელებმა მცირე დეტალების გაუთვალისწინებლობის გამო მარცხი განიცადეს ჩემპიონთა ლიგის გასულ გათამაშებებში, ჩვენ კი ახლა ისღა დაგვრჩენია, ვიაროთ საუკეთესო გზით, რათა მივაღწიოთ წარმატებას, ყველაფერ ამის შემდეგ კი, ბუნებრივია, რომ ძალიან გვსურს ლიგის მოგება.

გასულ სეზონზე უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან ბაიერნი მადრიდის ატლეტიკომ გამოთიშა, ეს გუნდები კი წელს ურთიერთობას ერთსა და იმავე ჯგუფში გაარკვევენ.

კარლომ მადრიდელებზეც გააკეთა მცირე კომენტარი.

– ძალიან მსურს ატლეტიკოსთან გამარჯვება, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ გუნდებთან, ბაიერნმა კარგად იცის, თუ რა უნდა დაუპირისპიროს მადრიდულ კლუბს, ამასთანავე, გერმანელებს არც ის დავიწყებიათ, რომ ჩემპიონთა ლიგის გასულ სეზონში ბაიერნის წარუმატებლობის მიზეზი სწორედ სიმეონეს ფეხბურთელები იყვნენ.

ჩემპიონთა ლიგის 2016-17 წლების სეზონი სტარტს 13 სექტემბერს აიღებს, ბავარიული კლუბი კი პირველ მატჩს საშინაო არენაზე როსტოვის წინააღმდეგ გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რადიკალ ბრიტანელ იმამს ამერიკული ფასტფუდი უყვარს

ბრიტანეთის ქალაქ ლუტონის „მაკდონალდსის“ ერთ-ერთმა კლიენტმა ბრიტანელ რადიკალ ისლამისტ მქადაგებელ ანიემ ჩუდარის იმ მომენტში გადაუღო ფოტოსურათი, როდესაც ის სწრაფი კვების ობიექტის სალაროს შორდებოდა და ხელში სინი ეკავა, რომელზეც მის მიერ შეკვეთილი საუზმე ეწყო.

– მე ამ ყმაწვილის სიტყვა მომისმენია და მისი აქ ნახვით გაკვირვებული დავრჩი იმის გათვალისწინებით, რასაც ის ქადაგებს. იმის გათვალისწინებით, რომ მას ეზიზღება ის ყველაფერი, რაც დასავლეთს უკავშირდება და ის, რომ ის მხოლოდ მუსლიმანურ კერძებს უნდა ჭამდეს, ის ფარისეველია, – განაცხადა ფოტოსურათის ავტორმა, რომელიც საკუთარ ვინაობას არ ამხელს და რომელიც სწრაფი კვების რესტორნის მახლობლად ცხოვრობს.

მამაკაცის თქმით, იმამი პირველად არ მოსულა ამერიკული ფასტფუდის დასაგემოვნებლად.

ჩუდარი ცნობილია თავისი ექსტრავაგანტური შეხედულებებითა და განცხადებებით. ასე მაგალითად, რელიგიური მსახური, რომელიც მრავალშვილიანობისთვის წელიწადში 25 ათას ფუნტ სტერლინგს იღებს სახელმწიფო დახმარების სახით, მოუწოდებდა თავის მრევლს, რომ დასავლეული გადასახადების გადამხდელებისგან რაც შეიძლება მეტი ფული „გამოეწურათ“ (რაც, მისი აზრით, ჯიხადის ფორმას წარმოადგენს).

იმამმა ასევე განაცხადა, რომ ბუკინგემის სასახლე მეჩეთად უნდა გადაკეთდეს. იმამი წლების განმავლობაში ახერხებდა, თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისთვის თავისი რადიკალური გამონათქვამების გამო, სიტყვის თავისუფლებიდან გამომდინარე, თუმცა მიმდინარე წელს მის წინააღმდეგ წაყენებულ იქნა ბრალდება იმ ლექციებთან დაკავშირებით, რომელშიც ის თავის მრევლს „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.

ჟურისმაძიებელ გოგონას ყოფილი შეყვარებულის მანქანა სხვისაში აერია

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ კლირუოტერში შურისმაძიებელმა ქალმა გადაწყვიტა, თავისი ყოფილი შეყვარებულისთვის მანქანა დაეწვა, მაგრამ ავტომობილი შეეშალა. სხვისი ქონების დაზიანების ამსახველი ვიდეო სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ხოლო ადგილობრივი პოლიციის განყოფილებამ ის ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ანთებს ცეცხლს გოგონა გზის პირას გაჩერებული ჰონდას მარკის ავტომობილის საბარგულში.

დაკავების შემდეგ 19 წლის კარმენ შამბლიმ პოლიციას განუცხადა, რომ მანქანა მისი ყოფილი ბოიფრენდის ეგონა. მას ხანძრის განზრახ გაჩენის ბრალდება წაუყენეს, ხოლო სინამდვილეში ვის ეკუთვნოდა დაზიანებული ავტომობილი, უცნობია.

კეტი პერიმ და გლობალ ბრენდსმა ერთობლივი საწარმო შექმნეს

ამერიკელმა მომღერალმა კეტი პერიმ და ჰონგკონგურმა კომპანია გლობალ ბრენდს გრუპმა ერთობლივი საწარმო შექმნეს.

შეთანხმების მიზანია პერის ბრენდის განვითარება სამომხმარებლო საქონლის ახალი კატეგორიებში. შეთანხმების ფარგლებში მომღერალი გგგ-თვის ფეხსაცმელების კოლექციას შექმნის.

– მოხარული ვარ, რომ ჩემი პარტნიორია გლობალ ბრენდს გრუპი, ვინაიდან მათ ჩემი ესმით და ჩემს ხედვას ენდობიან, ასევე მიღრმავებენ ცოდნას, რომელსაც ვითვისებ და საქმეში ვიყენებ, – განაცხადა პერიმ.

გგგ-თვის ეს არ არის ცნობილ პიროვნებებთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევა. მაგალითად, მათ 2014 წელს შეთანხმება გააფორმეს ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელ დევიდ ბეკჰემთან.

ავსტრალიელი სერფინგისტი ზვიგენმა იმსხვერპლა

ავსტრალიელი სერფინგისტი წყნარ ოკეანეში ზვიგენის თავდასხმას ემსხვერპლა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი საფრანგეთის ტერიტორიის ახალი კალედონიის ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისი მონაცემებით, 50 წლის მამაკაცი კაიტსერფინგით იყო დაკავებული ქვეყნის ყველაზე დიდი კუნძულის გრანდ-ტერის პორტ კუმაკის რაიონში და წყალში ჩავარდა. სწორედ ამ დროს მას თეძოს არეში დიდი ზომის ზვიგენმა უკბინა. დაზარალებულს პირველი დახმარება იქვე მცურავი კატამარანის მგზავრებმა აღმოუჩინეს. ამის მიუხედავად, თავდასხმიდან თითქმის ერთ საათში მამაკაცი გარდაიცვალა.

ადგილობრივი საზღვაო სამაშველო ცენტრის ხელმძღვანელ ნიკოლია რენოს თქმით, ჭრილობა მეტისმეტად ღრმა აღმოჩნდა. თუ რა სახის ზვიგენი დაესხა თავს სერფინგისტს, ჯერჯერობით გაურკვეველია. ასევე უცნობია დაღუპულის ვინაობა. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის დასავლეთ ავსტრალიიდან არის.

ამერიკელი კომიკოსი სელფის მოყვარულებს სელფი-ჯოხს უჭრიდა

ამერიკელმა კომიკოსმა ბადი ბოლტონმა იუთუბიზე საკუთარ არხზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ მირბის ის ტურისტებთან, რომლებიც ავტოპორტრეტებს იღებენ სელფი-ჯოხის დახმარებით და გაჯეტს ბაღის საკრეჭი გრძელტარიანი მაკრატლით უჭრის.

ვიდეორგოლში, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში 370 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა, ჩანს, რომ ყოველ ჯერზე ბოლტონი მონოპოდის გაფუჭების შემდეგ გარბის. ზოგიერთი მისი მსხვერპლი ასეთი თავდასხმის შემდეგ, უბრალოდ, გაოგნებული დარჩა, ერთ-ერთი მამაკაცი კომიკოსს გაეკიდა, ხოლო ერთმა წყვილმა საკუთარი პრეტენზია იმ ოპერატორს წაუყენა, რომელიც ამ ყოველივეს იღებდა და გაქცევა ვერ მოასწრო.

ვიდეოს „დისლაიქების“ რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მოწონებას: 12 ათასზე მეტი 2,5 ათასის წინააღმდეგ.

თავად ბოლტონის თქმით, მას და მის მეგობრებს ვინმეს წყენინება არ სურდათ, თუმცა ისინი სელფი-ჯოხს მავნე სოციალურ მოვლენად მიიჩნევენ.

– ადრე ყველანი ერთმანეთს სთხოვდნენ: „სურათს ხომ ვერ გადაგვიღებდით მე და ჩემს ცოლს?“ ახლა კი ადამიანებს შორის ურთიერთობა, სულ უფრო მეტად იკლებს. ასე რომ, ჩვენ ადამიანებს შორის ურთიერთობას ვემხრობით, – განმარტა ბოლტონმა და იქვე დაამატა, რომ ადამიანები მონოპოდებით მეტად სულელურად გამოიყურებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მწვანე ათთიაქი

ალუბალი ართრიტისგან დაგიცავთ

ამერიკის ბეილორის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ალუბლის ახალი სასარგებლო თვისება აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ალუბალს ართრიტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობის პროფილაქტიკა შეუძლია. ალუბლის რეგულარული გამოყენება ხელს უშლის ოსტეოართრიტის განვითარებას. საერთოდ, ართრიტის ეს სახეობა ხელებს, ფეხებს, განსაკუთრებით მუხლებსა და ხერხემალს აზიანებს.

მეცნიერებმა ალუბლის ექსტრაქტზე დამზადებული სპეციალური სამკურნალო პრეპარატები შექმნეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაზე სასარგებლო ცოცხალი ხილია.

ასტროპროგნოზი

9 სექტემბრისთვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. ** კურო** – არაკეთილისმსურველები თქვენთვის ზიანის მოყენებას ცდილობენ. დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **ბყუპები** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დღეს გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ახლობლისგან მიღებული ინფორმაცია თქვენს მდგომარეობას რადიკალურად შეცვლის. **ლომი** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარება გაგთანგავთ. გამოფხიზლდით და სასურველს რეალობად ნუ მიიღებთ. **სასწორი** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გარშემოყოფების დარწმუნებასა და თქვენ მხარეს გადაბირებას მშვენივრად ახერხებთ. **თხის რქა** – პარტნიორებთან თანამშრომლობა ძალზე პროდუქტიული იქნება. მარტხოხელებს სასიამოვნო შეხვედრები გელით. **მერწყული** – შესანიშნავად გამოიყურებით, რაც წარმატებაში ხელს შეგიწყობთ. **თევზები** – დღეს ბევრი რამ შეიცვლება, როგორც ცხოვრების სტილი, ისე ადამიანებთან ურთიერთობა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება; 2. ბრიტანული ყველი; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. წარმართული რელიგიის მსახური; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 11. სახელმწიფო აზიაში; 13. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 15. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი, სოპრანო; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ერაყში; 18. ალპინისტთა გამყოლი ჰიმალაებში; 19. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

თარაზულად: 6. ძველბერძნული სახელმწიფო; 8. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 9. ნაგებობის ლითონის ჩონჩხი, კონსტრუქცია; 10. ქალაქ-მუზეუმი იტალიაში; 12. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული, დიდი, გარეული ხარი. 17. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 20. ძვირფასი ქვების ძველი ქართული საერთო სახელწოდება; 21. დიდებულთა მემკვიდრეობითი ტიტული ესპანეთში; 22. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 23. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტაიკონავტი; 2. რამოსი; 3. კოფეინი; 4. ფლუსი; 5. ვალმარტი; 6. ჟესტი; 7. მიუსერა; 9. გრაცია; 13. ატოლი; 17. მუზა; 18. ერი.

თარაზულად: 1. ტრაპერი; 3. კრუიფი; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. ტოკაი; 12. კიშლაკი; 14. ნარიტა; 15. პრისტლი; 16. ტემზა; 19. მულატი; 20. პინჩერი; 21. დივანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ინიესტა; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ვალმარტი; 7. რუხი; 11. სარბაზი; 13. კატრანი; 15. გენუა; 16. მელუა; 18. რეინი; 19. ტესტი.

თარაზულად: 6. ნუტრია; 8. თაფლუჭი; 9. თრთვილი; 10. სუფიქსი; 12. გინეა; 14. ნიკორა; 17. ინტერნეტი; 20. იზაბელა; 21. ჩუვაჩი; 22. ნესტლე; 23. გარდნერი.

„დარისპანის გასაჭირში“ მთავარ როლს თურქი მსახიობი ითამაშებს



ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული პროფესიული დრამატული თეატრის დასი პრემიერაზე მუშაობს.

დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარლამ ნიკოლაძე დგამს, სადაც დარისპანის როლს ქალაქ ტრაპზონის სამხატვრო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ნეჯატი ზენგინი ითამაშებს. მართას როლს კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ლაურა რეხვიაშვილი შეასრულებს.

სპექტაკლის პრემიერა მოძრაობის თეატრში გათამაშდება.

ნეჯატი ზენგინი თბილისში 10 სექტემბერს ჩამოვა. თურქი მსახიობი საქართველოს დედაქალაქს ქართველი კოლეგის, ვარლამ ნიკოლაძის, მოწვევით ესტუმრება და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული პროფესიული დრამატული თეატრის დასთან ერთად, სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“, დარისპანის როლს თურქულ ენაზე ითამაშებს. თურქ არტისტს, პარტნიორობას გაუწევს ცნობილი ქართველი მსახიობი ლაურა რეხვიაშვილი.

ნეჯატი ზენგინის თბილისში ჩამოსვლას თურქეთის რესპუბლიკის საელჩო უზრუნველყოფს.

ქართველი საოპერო მომღერალი ცნობილ მუსიკალურ ტელეკონკურსში მოხვდა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტი მარიკა მაჩიტიძე ცნობილ მუსიკალურ ტელეკონკურს „დიდ ოპერაში“ მოხვდა, რომელიც ოქტომბრიდან გავა ტელეკომპანია „კულტურის“ ეთერში.

ამჟამად მიმდინარეობს შესარჩევი ტური, სადაც გულშემატკივრები ხმას აძლევენ თავიანთ ფავორიტებს. ფავორიტთა შორისაა მარიკა მაჩიტიძეც. შესარჩევ კონკურსში ქართველმა მომღერალმა ჩასვლა ვერ შეძლო და ჟიურის წევრებს ვიდეოჩანაწერი გადაუგზავნა. მისმა ნამღერმა ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიური იმედოვნებს, რომ მარიკა საკონკურსო ეტაპს წარმატებით გადალახავს და მთავარ მონაწილეთა შორის აღმოჩნდება.

მარიკა მაჩიტიძისთვის კი ნებისმიერ მსურველს ხმის მიცემა ინტერნეტში სპეციალურ ბმულზე შეუძლია, რომელზეც კონკურსის ყველა მონაწილეა წარმოდგენილი.

სამგლოვიარო განცხადებები

კუკური სამხარაძის გახსენება

შესრულდა 40 დღე ჩვენი საძმოს ღირსეული წევრის კუკური სამხარაძის სულის ზეციური ამაღლებიდან.

უფალო ღმერთო, რად გამაჩინე, თუ უშვილძიროდ გადაშენება მელოდაო, – სინანულით წარმოთქვი საავადმყოფოს საწოლში მწოლიარემ, როცა უკანასკნელად გინახულეთ ჩვენი საძმოს წევრებმა.

შენი სიცოცხლე ხომ მაშინ დასრულდა, როდესაც 36 წლის ვაჟკაცი მოულოდნელი სიკვდილის მსხვერპლი გახდა. 6 თვის შემდეგ დედის გულმა ვერ გაუძლო ერთადერთი შვილის დაღუპვას და ისიც აღესრულა. მას შემდეგ მარტოდმარტო დარჩი და შვებას ჩვენი საძმოს წრეში პოულობდი.

შენ ხომ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ენერგიული წევრი იყავი ბოლომდე ჩვენი ექსკურსიებისა და ყოველთვიური დაბადების დღეების აღნიშვნისა თუ საზეიმო ღონისძიებების მოწყობისას.

ჩვენო საყვარელო კუკური, სანამ ცოცხალი იქნება ჩვენი საძმოს თუნდაც ერთი წევრი, შენი კეთილი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

დიდუბის გამოფენის საძმოს წევრები

ერასტი ლანჩავა

კიდევ ერთი კეთილშობილი, თავმდაბალი, მოსიყვარულე ადამიანი დააკლდა ოჯახს, შვილიშვილს, ახლობლებს, მეგობრებს.

უფალმა გაანათლოს, ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ერასტი!

უახლოესი ნათესავები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახმეტელის თეატრი ახალ სეზონს შატილში გახსნის

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი ახალ სეზონს 10 სექტემბერს შატილში გახსნის.

შატილობის სახალხო დღესასწაულზე შატილში ღია ცის ქვეშ ახმეტელის თეატრი ეროვნულ მოტივებზე აგებულ, თანამედროვე თეატრალური ფორმებით გააზრებულ დადგმას წარმოადგენს, რომლის მეშვეობით ქართული ცნობიერების, მენტალობის, ტრადიციების, მსოფლმხედველობისა და ფოლკლორის სინთეზურად წარმოჩენა ხდება.

„სტუმარ-მასპინძელი“ შატილში?იქნება წარმოდგენილი. ამ სპექტაკლის ღია ცის ქვეშ თამაში თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა ტრადიციად დაამკვიდრა. მაისში ახმეტელელებმა „სტუმარ-მასპინძელი“ ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში წარმოადგინეს, ივნისში ანაგაში სანდრო ახმეტელის დაბადების დღეს რეჟისორის მუზეუმის ეზოში ითამაშეს, ახლა კი ვაჟას უკვდავი ნაწარმოების თეატრალიზებული სანახაობა შატილში იქნება წარმოდგენილი.

სპექტაკლის რეჟისორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი გოგიაა, მხატვარი – ლაშა იაშვილი, კოსტიუმების მხატვარი – მარიკა კვაჭაძე, მუსიკალური ხელმძღვანელი კი – ზვიად ბერიაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ანდრია გველესიანი, გიორგი ცხადაძე, გიგი მიგრიაული, თინა გვაზავა, გვანცა კანდელაკი, ნინო არეშიძე, თაკო ფრიდონაშვილი, ეკა გაგნიძე და თეონა გნოღიძე.

თბილისის ბიგ ბენდის საჩუქარი სტუდენტებს

თბილისის მერიის ბიგ ბენდი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად სტუდენტებს საჩუქარს უმზადებს.

ბიგ ბენდი სტუდენტებს სწავლის დაწყებას ულოცავს და უფასო კონცერტების სერიას იწყებს.

„ბიგ ბენდის საჩუქარი სტუდენტებს“ – ამ პროექტის ფარგლებში თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი კონცერტებს სხვადასხვა უნივერსიტეტში სექტემბერსა და ოქტომბერში გამართავს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თბილისის მერიის ბიგ ბენდი ათწლიან ტრადიციას არ ღალატობს და კონცერტებს უმაღლეს სასწავლებლებში გამართავს. ბიგ ბენდი ყოველწლიურად უნივერსიტეტებს საჩუქარს უკეთებს და კონცერტებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მართავს.

ახალი სასწავლო წლიდან პირველ კონცერტი 12 სექტემბერს თავართქილაძის უნივერსიტეტში გაიმართება. შემდეგი კონცერტი 19 სექტემბერს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში იგეგმება, 23 სექტემბერს კი ბიგ ბენდს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უმასპინძლებს.

უჯარმის ტაძარს საფრთხე აღარ ემუქრება

უჯარმის ჯვარპატიოსნის სახელობის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება. ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი ხორციელდება.

უჯარმის ჯვარპატიოსანი დაკავშირებულია წმიდა ნინოს მითითებით შექმნილი სამი ჯვრიდან ერთ-ერთთან, რომელიც, წმიდა ნინოს დავალებით, ამ ადგილას აღუმართავს სალომე უჯარმელს. ეს ჯვარი მოგვიანებით, მირიანის მემკვიდრის, მეფე ბაკურის დროს, IV საუკუნის მიწურულს, მოათავსეს პატარა დარბაზულ სამლოცველოში.

დღევანდელი ჯვარპატიოსნის ტაძარი მრავალჯერ შეკეთებული ორსართულიანი ნაგებობაა, რომლის პირველი სართული მცირე დარბაზული ეკლესიაა, ამ შენობის არქიტექტურული ფორმები და პროპორციები ადრეულ შუა საუკუნეებზე მიგვითითებს და V საუკუნით უნდა დათარიღდეს.

მეორე სართულიც მცირე დარბაზული ეკლესიაა, რომელიც, სავარაუდოდ, ქვედა ძველ ეკლესიას IX-X საუკუნეებში დააშენეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რიანამ პუმას ახალი კოლექცია წარმოადგინა

მომღერალმა რიანამ კომპანია პუმას ახალი კოლექცია წარმოადგინა. 2016 წლის შემოდგომა-ზამთრის ხაზის წარდგენა ნიუ იორკში გაიმართა.

მომღერლის თქმით, მის შექმნას იაპონურმა ქუჩის კულტურამ მისცა ბიძგი. როგორც რიანამ განაცხადა, ის იაპონიის მოდას დიდი ხანია სწავლობს, ამ ქვეყანაში თავისი პირველი სტუმრობიდან მოყოლებული და ადგილობრივმა სტილმა ის აღაფრთოვანა.

ახალი კოლექცია უპირატესად შავ და თეთრ ფერებშია წარმოდგენილი. მასში შედის კაბები, ქვედაბოლოები, შარვლები, ფეხსაცმელები. რიანას თქმით, ეს კოლექცია თავისი „შეშლილი“ ფანებისთვის შექმნა.

2014 წელს გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რიანა კომპანია პუმას კრეატიული დირექტორი გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წვერსაპარსი PHILIPS
50 ლარი 90-ის ნაცვლად

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჭყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50ჯბ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ცრბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად 95 ლარის ნაცვლად

MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158

პროგრამა

პარასკევი
9 სექტემბერი

07.00 დოკ/სერ ცნობისმოყვარეობა. მუმიფიცირებული" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი."მეთევზე და მისი ცოლი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისაკენ**" **11.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.30** მხ/ფ "**აპალუზა**" (მ.ბრანდო) **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ ცნობისმოყვარეობა. უცხოპლანეტელთა შემოსევა-ვართ თუ არა მზად" **19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** თოქ-შოუ "რეალური სივრცე" **23.40** მხ/ფ "**წმინდა გონების მუდმივი ნათება**"(ჯ.კერი) **01.25** მხ/ფ "**კოზირის ტუზები**" (ე.გარსია)

08.00 დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თაგზე" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ბიჭუნა წყალზე**" **12.00** ტ/სერ "**შვას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (5 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთის სიყვარულის აბგავი**" **5** სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟანი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარაქალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **5** სერ. **22.00** ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ **23.30** სერ. "**პერიოდატა** (9+1)" **2** სერ. **00.30** მხ/ფ "**ნონ-სტოპი**" **02.45** მხ/ფ "**სიმპათიის კანონი**"

06.00 სერ. "**დაკარგული გავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.15** იღბლიანი ბორბალი განსხვავებული აქცენტები **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00 59** წამი **13.30, 02.30** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ეროვნული საგანძურის- საიდუმლოების წიგნი**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **00.30** მხ/ფ "**ღალატის ფასი**"

06.15 კვირიაკე **07.20** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე...მსხვილი ნაგებობები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე "მეფუტკრეობა და ეკოსისტემა" **10.50** მოკ. მხ/ფ "**აპრილი**" **12.10** პორტრეტები "ოთარ თაქთაქიშვილი" **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ღვთის სახლი- პარეხი (პარეხთა) II ნან. **15.45** კონცერტი **16.10** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.40** მიწათმოქმედი "მწვანე საფარი" **17.00** ჩვენი ფონდი "ეკლესიის დანიშნულების შესახებ" **17.40** ამბიონი "დიდი მწუხრის დაწყება" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" **20.40** ძილი ნებისა "ველური გედები" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "ლევილის დედა-ნამეტია ბერძენიშვილი,ბავშვი და ზღაპარი" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სამების მთა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **00.35** მგზავრები ნუთისოფლისა "რაჭა, ონი, სოფ. ონჭკვი" **01.00** მხ/ფ "**ნუცას სკოლა**"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 0.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 2.30** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** "კონტაქტი" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოუერი ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "ბრმა ჰორიზონტი" ბოევიკი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 სექტემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.306
- ევრო — 2.5938
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0859
- 100 რუსული რუბლი — 3.583

ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისთვის

6 სექტემბრიდან

ანდრეი ბელი
პეტერბურგი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



8 სექტემბრიდან

ანა პოლიტკოვსკაია
პუტინის რუსეთი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

9 სექტემბრიდან

ლევან ბრეგაძე
ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვიღაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

იუმორი

გოგონა თავის ყოფილ მეგობარ ბიჭს ურეკავს და ეკითხება:

– როგორ გაქვს საქმეები პირად ფრონტზე მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით?

– სიმართლე გითხრა, არცთუ სახარბიელოდ, მზად ვარ, ნებისმიერ გომბეშოსთან გავატარო ღამე.

– ყი-ყი!

•••

მარტოხელა დამლაგებელი დაფეხმძიმდა და ბავშვი გააჩინა. ნათესავები ეკითხებიან:

– ვინ არის ბავშვის მამა?

– თქვენი აზრით, როდესაც კიბეებს ვრეცხავ, სულ მუდამ უკან ვიყურები?!

•••

ოსური სოფლის მცხოვრებლების დელეგაცია უხუცესთან მივა და რჩევას ეკითხება:

– მესამე კვირაა, წვიმა არ ყოფილა! მოსავალი იღუპება, ბავშვები შიმშილობენ, ცოლები უკმაყოფილონი არიან. როგორ მოვიქცეთ?

– ერთ წუთს დამელოდეთ! სიბრძნის წიგნში ჩავიხედავ.

უხუცესმა აიღო წიგნი, გადაშალა და ეუბნება:

– ასეე. თეთრი ძროხა დაკალით, 10-ჯერ წაიკითხეთ ლოცვა და წვიმა მოვა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ მიაკითხეს უხუცესს და ეუბნებიან:

– ერთი კვირა გავიდა, წვიმა ისევ არ მოსულა. მოსავალი იღუპება, ბავშვები შიმშილობენ, ცოლები უკმაყოფილონი არიან. როგორ მოვიქცეთ?

– ერთ წუთს დამელოდეთ! კიდევ ერთხელ ჩავიხედავ სიბრძნის წიგნში.

შემდეგ ეუბნება:

– ე.ი. ამჯერად დაკალით შავი ძროხა და 20-ჯერ წაიკითხეთ ლოცვა! აუცილებლად მოვა წვიმა!

კიდევ ერთი კვირის შემდეგ ისევ მივიდნენ უხუცესთან და ეუბნებიან:

– ისევ არ მოსულა წვიმა! გვერდით სოფელში, მარცხნივ რომაა, სულ წვიმს. მეორე სოფელი მარჯვნივ რომაა, ღამის წყალმა წაიღოს, ჩვენთან კი ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა!

– თქვენი ძროხა დაკალით, თქვენი!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ არის შავი ზღვა, ყვითელი ზღვა, თეთრი ზღვა, წითელი ზღვაც არის და აი ცისფერი ზღვა კი არ არის?

– რატომ არ არის? ე-გეოსის ზღვა აბა რა არის?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

პაოლო მალდინი მილანში მუშაობას არ აპირებს

იტალიური მილანი უკვე რამდენიმე წელიწადია, ვერ აჩვენებს იმ შედეგებს, რომლებიც ამ გუნდს შეეფერება და რასაც მისგან ელის მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი. მილანის ლეგენდა პაოლო მალდინიმ შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ მილანს ახალი, უფრო ძლიერი ფეხბურთელები სჭირდება, რათა უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს.

მალდინიმ მილანში დაბრუნებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით მილანში მუშაობის დაწყებას არ აპირებს, თუმცა ეს გუნდი ყოველთვის მის გულში იქნება. მალდინიმ განაცხადა, რომ ის სამწვრთნელო კარიერის დაწყებით დაინტერესებული არ არის, თუმცა მომავალში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

ჯანო ანანიძეს რამდენიმე ესპანური გუნდი აკვირდება

ჯანო ანანიძის კარგი თამაში ბოლო პერიოდში უყურადღებოდ არ დარჩენილა და მისით რამდენიმე ესპანური გუნდი დაინტერესდა. ჯანოს თავის გუნდში ხილვა ესპანიოლს, დეპორტივოსა და ვილიარეალს სურთ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ კლუბების წარმომადგენლები საქართველო-ავსტრიის შეხვედრასაც დაესწრნენ და ანანაძის ლამაზი გოლიც იხილეს. სპარტაკს ჯანოს გაშვება არ სურს, თუმცა, კარგი წინადადების შემთხვევაში, შესაძლოა, სპარტაკმა პოზიცია შეიცვალოს.

ჯანოთი რამდენიმე ესპანური გუნდი ადრეც იყო დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა.

ალექსის სანჩესმა თავი მესისა და კრიშტიანო რონალდუს გაუტოლა

ლონდონის არსენალის ფორვარდმა ალექსის სანჩესმა საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. სანჩესის თქმით, ის თავისი საფეხბურთო თვისებებით მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელებს კრიშტიანო რონალდუსა და ლიონელ მესის არ ჩამოუვარდება.

არსენალის თავდამსხმელმა დაამატა, რომ ის ყოველთვის მუშაობს საკუთარ თავზე იმისთვის, რომ ერთ ადგილზე არ გაჩერდეს და პროგრესი განიცადოს. არსენალში სანჩესი ორი წლის წინ გადავიდა და მას შემდეგ ის არსენ ვენგერის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

იქამდე კი სანჩესი სწორედ ლიონელ მესის თანაგუნდელი იყო ბარსელონაში.

იაპონელებს ახალი „მის იაპონია“ არ მოსწონთ

იაპონიაში სილამაზის კონკურსის გამარჯვებული კრიტიკის ობიექტად იქცა მისი „არაიაპონური“ გარეგნობის გამო. აღსანიშნავია, რომ „მის იაპონია“ 2016 წლის გამარჯვებულ პრიანკი იოსიკავას მამა ინდოელი ჰყავს.

ჟიურის არჩევანი ტვიტერის იაპონურ სეგმენტში ცხარე განხილვის მიზეზად იქცა.

– როდესაც იაპონელი ქალი ვიღაცის ნარევია, სახე ყოველთვის საზიზღარი გამოდის. ის ყველაზე უმსგავსო აზიელია, – დაწერა ერთ-ერთმა იაპონელმა ინტერნეტმომხმარებელმა.

ონლაინკრიტიკას იოსიკავამ უპასუხა. მან აღნიშნა, რომ ეამაყება საკუთარი წარმომავლობა.

– მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე იაპონელი არ ვარ, – ხაზგასმით აღნიშნა „მის იაპონიამ“.

სხვათა შორის, 2015 წლის გამარჯვებული „მის იაპონიაც“ ამ ქვეყნის მოქალაქეებს „არასაკმარისად იაპონელად“ მოეჩვენათ.

– მასში მეტისმეტად ბევრი შავი სისხლია საიმისოდ, რომ ის იაპონელად ჩაითვალოს, – დაწერა მაშინ ერთ-ერთმა კრიტიკოსმა არიან მიამოტოს შესახებ, რომლის მამაც აფრიკული წარმომავლობის იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გრიზმანის ყიდვა ჩელსისაც მოუნდა

ანტუან გრიზმანზე ინგლისში ნამდვილი ომია გაჩაღებული. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირება მანჩესტერ იუნაიტედს სურს და მანჩესტერელები მზად არიან, 70 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრიზმანის შეძენა ჩელსიმაც მოინდომა და, არ არის გამორიცხული, ატლეტიკომ გრიზმანი ჩელსის დიეგო კოსტაში გაუცვალოს, რადგან დიეგო სიმეონეს მისი დაბრუნების დიდი სურვილი აქვს.

გრიზმანმა გასული სეზონი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და ევროპის ჩემპიონატზეც თავისი ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვორდი ა



შვეულად: 1. მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა; 2. პატარა მოთხრობა; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ხარის, კამეჩის ტყავისგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგი ფილოსოფოსი; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

თარაზულად: 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. ისლამისტთა ულტრანაციონალური ორგანიზაცია; 11. რადიაქტივობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 12. ბალეტ „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. განათებულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა